

თამარ ჯაჭვაძე

სულთშესაფარი

“ლექსად აგინთე მამულო, ჩემო, სული,
არ შემიყვარო, არ გამიჩინო მტერი!”

გამომცემლობა “ირიდა”
2008წ.

რედაქტორი:

თინათინ სიყმაშვილი.

ტექნიკური რედაქტორი:

მაია რაზმაძე

მხატვარი:

ზაურ გაბესკირია.

კორექტორი:

მეგი ბარბაქაძე.

კონსულტანტი:

ხათუნა ხეთაგური.

ISBN 978- 9941- 0-0434-6

სულის თავშესაფარი

პირველი ლექსი ცამეტი წლის ასაკში დავწერე, გულუბრყვილო, მაგრამ მართალი. მას შემდეგ სულ ვწერდი: როცა მილხინდა, ვწერდი, როცა ბედნიერი ვიყავი და პირიქით. ტკივილისა და სიხარულის ერთნაირი მალამო იყო ჩემთვის ლექსი.

შორეულ აღმოსავლეთში, მტერთა გარემოცვაში ცხოვრების შვიდი წელიც ლექსმა გადამატანინა. ერთადერთი განძი, რაც ბავშვობიდან წამოვიღე, სიმართლე იყო, მას გზადაგზა სითბო, სიკეთე, სიყვარული და გამძლეობა დაემგზავრა. პოეზია ჩემთვის სულის თავშესაფარი გახდა.

დღეს ჩემი იდუმალი სამყაროს კარს ვაღებ და მჯერა ვინმე, ჩვენი ქაოსური ცხოვრებისგან დალილ–დაქანცული, დროებით გადაიმყუდროვებს ჩემეულ სულთშესაფარში.

ამ ქვეყნად მოსვლის გამართლებაც ეს იქნება.

თ. ჯაჭვაძე

პოეტის ცრემლი ნუ გაშინებს.

უყვართ ყვავილივით ატირება,
 ზარავთ გულგრილობის ირონია,
 პოეტის ცრემლი – პატიება,
 პოეტის ცრემლი მირონია.
 ჩემზე იცინიან ირიბულად,
 ისემც გაქრებიან ალუჩები,
 რითმა დამიწუნეს ღარიბულა,
 ვალში მეც არავის დავურჩები.
 მამულის ტკივილით სულაშლილებს,
 ზარავთ სიცივე და ირონია,
 პოეტის ცრემლი ნუ გაშინებს,
 პოეტის ცრემლი მირონია.

ვახტანგური

სულ დამავიწყდა
 ბოლო აკორდი კოცნა რომ იყო,
 მაინც გადავკრავ,
 თუნდ ამ ჭიქამ ბოლო მომიღოს,
 დამენანება
 მორცხვი ფიქრის ხალხში გამხელა,
 სვენებ-სვენებით
 შესვი, ბიჭო, რამ გაგახელა,
 გავინაბები,
 აღარ მინდა თვალის გახელა,
 სად დაიტოს
 სიყვარული, გულმა, ამხელა,
 თან ბედნიერი
 თან სირცხვილის ცრემლით ვიტირებ,
 ასე სახალხოდ
 კოცნას ნეტა მართლა მიპირებ?!

ბერიკაცი დიკის.

მზეს რა ცეცხლი წაეკიდა?!
 ვარვარებდა ნასამხრები,
 ბერიკაცი ყანას მკიდა,
 გადახუნებოდა მხრები.
 ბეჭებს წლები ედო ლოდად,
 თმა-წვერს სიჭაბუკის ნავლი,
 თვალი გზისკენ გაურბოდა,
 ქალს ელოდა უკვე ჩავლილს.
 გულს კიცხავდა ბერიკაცი:
 – ეს რა ცეცხლი გადამკიდა?!
 ვერა და ვერ გამოვდივარ
 სიყვარულის ასაკიდან!

მე ხომ გიჟი ვარ

ჩემზე იტყვიან გადარეულა,
 არ ედარდება რას იტყვის ხალხი,
 ისეც დავდივარ გულდახეული,
 სიძულვილს ტყვიად ნულარ დამახლი.
 სხვის დასანახად არ მილოცია,
 არ ამინთია ყალბი სანთელი,
 ბევრჯერ ეკალი დამიკოცნია,
 ყაყაჩოებიც ბევრჯერ გავთელე.
 არ მედარდება, არც ვიმეორებ,
 ჭორის სამიზნედ, ვიცი, გიზივართ,
 თქვენ, ჭკვიანებმა იდარდეთ, თორემ,
 მე ხომ გიჟი ვარ.

* * *

სალამური ვიყო, შენმა

მიალერსონ თითებმა,
 რომ მეღირსოს ტრფობის ჰანგად
 ცაში გაჯირითება.
 ნეტა ჩემზე რას გაამბობს
 მოფრენილი მერცხალი,
 სიყვარულის ხანძრად მექცა
 პატარა ნაპერწკალი.
 გატეხილი კოკა შემრჩა,
 სული ლექსად ინთება,
 სალამური ვიყო, შენმა
 მიალერსონ თითებმა.

გზაში ერთი სიყვარული დამრჩა

გზაზე დარჩა სიყვარული ერთი,
 გადაწყვიტა ლურჯი ჩიტის პოვნა,
 დამიტოვა მონატრება თეთრი,
 იალბუზად წამომდგარი ხსოვნა.
 გამიხსენა საყმაწვილო სენმა,
 გადავხედავ, სიბერიდან არ ჩანს,
 ცხადი იყო? ნეტა გამახსენა,
 გზაში ერთი სიყვარული დამრჩა.

დარჩება უთქმელი

დამრჩება რაღაცა სათქმელი,
 სიმღერას გაჰყვება ცრემლებად,
 სად იყავ, სადა ხარ, სად მელი,
 რამდენჯერ ითოვეს ტყემლებმა.
 დაგვრჩება რაღაცა უთქმელი,
 დუმილში უთქმელად მიქრება,
 სიყვარულს წაიღებს ღრუბელი
 და სადმე მოწვიმოს იქნება.

ღირსმყავი შენი სიყვარულისა

შენთვის იხსნება, შენთვის ანთია,
ჩემი ოცნების დაბურული ცა,
მერცხლად გიგალობ ყოველ განთიადს,
ღირსმყავი შენი სიყვარულისა.
მოვა ზაფხული ცხელი შანთებით,
ვაიმე ბრალი ჩემი გულისა,
შენთვის ტკივილებს ლექსად ვანთებდი,
ღირსმყავი შენი სიყვარულისა.

* * *

აღვის ხე ვარ,
ცამდე აღერებული,
ქარი დაქრის,
სიცოცხლო მოკლდები,
სული დამრჩეს
ლექსად ამღერებული,
მერე? დიდი სიხარულით მოვკვდები.

გამახარე

მე უშენოს მარტოობა მიჯობს,
დაგენანა სიყვარულის ფიცი?!
ამ ზამთარში მომენატრე ბიჭო,
თორემ აპრილს შემოჰყვები ვიცი!
გაიფრენენ მოშრიალე წლები,
მოასწარი პატარა გოგოს კოცნა,
სურვილების სურაც დაიცლება,
ნედლი გული გაცივდება როცა.

მე უშენოს მარტოობა მიჯობს,
შენც ამ ღამეს ღვინის ცეცხლით იწვი,
გამოფრინდი, გამახარე ბიჭო,
ხელგაშლილი გეძახი და გიცდი!

სულ სიყვარული მჭირდეს

ბაცი გიხდება ნისლი,
არ გადიყარო გულო,
სიტყვით დაგჭრეს თუ ისრით
მწყერივით დაღულულო?!
მოდის და დამაძალე,
კარნახით ლექსი ვწერო,
ჩემი წუხილის ცალო,
წყურვილო გულდამწველო.
ცას შეაკვდება წერო,
ვის უნდა გაუკვირდეს?!
სულ სიყვარულზე ვწერო,
სულ სიყვარული მჭირდეს!

* * *

უგულობა გაპატო, თუ ორგული ფიქრები,
მე თუ შენ ვერ აგატირე, რაღა გოგო ვიქნები!
ცივ წყაროს წყალს დაგპირდები ძველისძველი ხელადით,
მერე უცებ გავფრინდები, ვით პეპელა ფერადი.
გაგექცევი, მიგატოვებ, აბა შენ რა გეგონა?
არ გამოდგა უგულობა სიყვარულის მეგობრად.
თუ ღალატშიც ვერ გაჯობო, უსახელოდ მივქრები,
მე თუ შენ ვერ დაგაჩოქე, რაღა გოგო ვიქნები!

ექიმთან

მედიცინა სასწაული არ ყოფილა?!
ჩემს ტკივილებს ერთი აბი ამყოფინა,
ნარკოტიკით როგორ უნდა გამამრთელო?!
რა მტკივა და _ საქართველო!

არ გეტყვი.

კვამლი თუ არ ჩანს განა არ ვიწვი?
მე ჩანაცრება უალოდ ვიცი!
და თუ არ ვტირი განა არ მტკივა?
თუ არ ვკანკალებ, განა არ მცვი?
თუ არ დაგეძებ განა არ გეტრფი?
მიყვარხარ, მაგრამ მაინც არ გეტყვი!

ალაგ _ ქარი, ალაგ _ დარი, გზაზე ალაგ ბინდია,
შენი ეზო მენატრება მყუდროა და მშვიდია,
როგორ გითხრა ეს ტკივილი, უსასრულოდ დიდია,
იორი და ალაზანი სხვადასხვა გზით მიდიან.

ატმის ხე

შემარხევს ქარი წითელკაბიანს,
და ნელ-ნელა ფიქრები მცვივა,
და გაზაფხული უშენოდ მოდის
და გაზაფხულზე ძალიან ცივა.
როდის ჩაივლი ზაფხულის ხვატო,
არ ამიტურო წნორში ვერხვები,
არ მიტანტალოთ ღამეში მარტო,

დავიწყებული ჩემი ლექსები.
 მეც ავფეთქდები და გაზაფხულზე
 ატმის ხესავით მოვალ მდუმარე,
 ჩუმად მოვდგები შენს ფანჯარაზე
 გზააბნეული, მორცხვი სტუმარი.
 მოვლენ წვიმები, დამისველებენ
 ფართოდ გახელილ ვარდისფერ თვალებს,
 პოეტები კი მოინატრებენ
 ატმის ხესავით გაფეთქილ ქალებს.
 ორღობეებში ჩაივლის მუზა,
 მოუსვენარი, მუშა ფუტკარი,
 მოციქულობენ ცივი ქარები,
 მიდი ემთხვიე, მიდი უთხარი!
 გაოცებული ჩემი თვალები
 ატმის ყვავილით შემოგცქერიან,
 ქალი ვიყავი, ვერ გამოიცან,
 ვერ შემამჩნიე, არაფერია!
 დამიმართოვა ცამ ხელუხლები,
 მხარი მიქციე, ფერი ვიცვალე,
 შემომალეწეს გზებმა მუხლები,
 ატმის ყვავილში გარდავიცვალე.
 და გადავიცვი წითელი კაბა,
 არ დამასმენენ ვიცი ატმები,
 ასე დავრჩები ამ ბაღის კართან,
 დაგიცდი, ვიდრე მოგენატრები.
 შემარხევს ქარი წითელკაბიანს
 და ნელ-ნელა ლექსები მცვივა,
 და გაზაფხული უშენოდ მოდის
 და გაზაფხულზე ძალიან მცვივა.

ცრემლის მარცვალი

სულ ამო ოცნებებმა დამცვარეს,
 ვჩერდები და ჩემს ნაკვალევს გავყურებ...

მომიწყვიტეთ ერთი წვიმის მარცვალი,
 ბალახებში დამეკარგა საყურე.
 განთიადზე ნამად თუ აელვარდა,
 მწყერმა ნახა და წაიღო ბუდეში...
 ნუ დამაწყვილებ შენი ცრემლის ქართან,
 მომიტეხე ერთი ბეწო ნუგეში.
 უცხო მოლი ნიავივით გავცურე,
 ძებნა-ძებნით ლერწმიანებს მივიკლებ,
 თუ ვიპოვე დაკარგული საყურე,
 მაშ ვიპოვი შენი გულის ბილიკებს.
 სიყმაწვილე უგზო-უკვლოდ დავცალე,
 ხეტიალით სული ვერ დავაპურე...
 მომიწყვიტე ერთი ცრემლის მარცვალი,
 აქეთობას დამეკარგა საყურე.

ნეტა სად არიან

წლები გაფრინდება, არ დაგელოდება,
 გულიც იბზარება განა ქვითკირია?!
 მტკენია დაღლილი დობილის გოდება,
 ჩემი მეგობრების ცრემლით მიტირია.
 ჩიტმა ამიკენკა ცრემლის ნაკვალევი,
 ჩემთან მოსასვლელი გზები რად არია?!
 მე რომ დამიტირა ჩუმი დატირებით
 ნეტა ის თვალები ახლა სად არიან?!
 ქარმა წამიშალა შენი ნაკვალევი,
 სადა ხარ, სიზმრების გზებზეც ქარებია!
 ვიდრე იასავით ჩუმად სულს დავლევდე,
 ღმერთო, დამავიწყე ვინაც მყვარებია.

პოეტი

ბევრჯერ სიძულვილმა ღიმილი აცელა,
 პოეტი დაჯდა და ტკივილი დაწერა.
 ლექსად დაიწერა, გული დაისრისა,
 წააცხო სამშობლოს მირონი სისხლისა.
 ოპიზარეზებით ჩუქურთმებს გვითლიდა,
 სიყვარულს გვასმევდა მოფლეთილ მითიდან.
 ბომონად აქცევდა თვით ნოეს კიდობანს,
 რომ ერს ღირსებოდა რწმენა და მშვიდობა.
 მაძლარს გაურბოდა, უყვარდა მშიერი,
 ყმუოდა ალგეთზე ძუ მგლის ნაშიერი.
 მიწას აბრუნებდა, თუ მტერს მიჰკიოდა,
 ყვავილის სიკვდილი შვილივით სტკიოდა.
 იყო მარტოსული, იყო გარიყული,
 არ ჰქონდა სიკვდილის შიში პანიკური.
 გაბდღვნილი მამული გულივით ეწვოდა,
 იცოდა ვინ იყო, რა სწამდა იცოდა.
 საით მიდიოდა, საით წავიდოდა,
 საიდან ესროდნენ უწყოდა, იცოდა,
 მაინც ბედისწერის შეცნობა ეწადა,
 რომ აბობოქრებულს სხვა გზა გაეწაღდა.
 თავს მოიკლავდა და სიკვდილს დაჯაბნიდა,
 არ სწამდა ტკივილი დიდება-დაფნითა.
 სიკეთის თესვაში სიცოცხლე მოლია,
 მტერსა და მოყვარეს სამიზნედ ჰყოლია.
 თავზარს თუ დასცემდა მხოლოდ სიძულვილი,
 ყელში თვითმკვლევლობის უჭერდა სურვილი.
 ეძახდნენ შემლილებს, ლოთებს, გიჟოეტებს,
 მარცვავდა მტერი და მარცვავდა მოკეთე.
 ყველა მწარე ტყვია და ყველა ტკივილი,
 უძილო ღამეებს ლექსად ჩამოწურა.
 წიწამურზე ხობებს ასწავლა ყივილი,
 განთიადს ღაწვების ფერი დაუწუნა.
 ერის ტკივილები ასხდა ნაოჭებად
 და როცა ჯალათმა მარჯვენა აცელა...

ჰეფესტოს ქურაზე რწმენა გამოჰქედა
და ზედ "საქართველო" სისხლით მიაწერა.

უნდა დაგამარცხო

გ.ჩ.ს

სისხლდაწყნარებულნი ბრუნდებიან
ჩხუბის საძებნელად წასულები,
სვანები არიან თუ ხევსურები,
ახოვანები და ტანსრულები.
ცხენდაცხენ მოგეწევით მე და ნისლი,
დამხვდი ახოებში თოფიანი!
საიდან გამომყვა თქვენი სისხლი,
ადუღებული და ცოფიანი?!
ვაითუ ღვინოსავით დაიდუღო,
დაგიცხრეს ეგ სული შფოთიანი,
სიბერით როგორ უნდა დაიღუპო
კაცი ხმლიანი და თოფიანი!
გული იარაღად მომაშველა,
შუბლზე ქართულმა ცამ შუქი მაცხო,
ვაჟო, თორ-აბჯარმა ვერმც გიშველა,
სიყვარულში უნდა დაგამარცხო.

მანც მეტი ვარ

დაუკეცია გვირილას ფრთები,
დაუქანცია ლოდინს,
მოდო, მითხარი რომ ამაოა,
თრევა სიზიფეს ლოდის.
წუთისოფელზე ატირებულა
ქარს აყოლილი შინდი,
მე შენს სიყვარულს ვერ მივუსწარი,

ნაწვიმარი გზით მიდის.
 ბალბაწოები მძივებს მაწვდიან,
 ვენანები და ვკრთები,
 დაუნანებლად გადამამსხვრიე
 ნორჩი ოცნების ფრთები.
 რადგან მასწავლე როგორ მეტირა,
 დაქალდა გოგო ცეტი,
 იცოდე, შენზე მაინც მეტი ვარ,
 ერთი ტკივილით მეტი!

მამულს

დაბადებიდან შენსკენ მოვდივარ,
 შენი უსაზღვრო ტკივილი მქვია,
 მე გადამფრენი ჩიტი როდი ვარ,
 სხვათა მიწაზე მესროლონ ტყვია.
 ფერს შეიცვლიან უცხო მხარეში,
 ნამის ცრემლები, ციცქნა ბროლები,
 მოვალ, შენი ცის დაღლილ თვალებში,
 კი არ ჩაგხედავ, გეამბორები.

სხვაგან ასეთი ვარსკვლავი

ვიარე, შემოვიარე,
 ქვეყნები, განა ქვეყანა,
 გზად ნოსტალგია კი არა,
 სიკვდილი შემომეყარა...
 გული და სული ჩავრაზე,
 თუ მკლავ, მამულში მამკალი,
 სხვაგან ასეთი ლამაზი
 რად ვერა ვნახე ვარსკვლავი?!

მოდი გადავთვრეთ

მაია რაჭმაძეს

სიყვარულივით დაძველდა მთვარე,
 კნაჭა ბიჭები ველარ კაცობენ,
 ძველი ღვინით და ბოღმით დამთვრალი
 ღრუბლები სადღაც მიბარბაცებენ.
 ფოთოლს ქარები დაიტაცებენ,
 ვით ჯიგიტები შავთვალა ასულს,
 საით წასულან ის ვაჟკაცები,
 სად მიჰყვებიან ნისლიან წარსულს?!
 გადავიღებოთ თეთრი თმა ინით,
 იქნება ბნელმა ღამემ არ გაგვცეს,
 მოდი გადავთვრეთ კახური ღვინით
 და ქარი სადღაც წაგვაბარბაცებს.

განა სათქმელი არა მაქვს?!

იავ უებარი სურნელით,
 ამოსუნთქვა ხარ მიწის,
 განა სათქმელი არა აქვს,
 ვინაც დუმილი იცის?!
 მერცხალსაც გავეტოლები
 ქალურ-ქილიკა ენით,
 შენზე თუ მრჩება თვალები
 განა მონა ვარ შენი?!
 ვიცი, რამდენი უვიცი,
 არ შეუძლია არ თქვას,
 დუმილის ფასი თუ ვიცი,
 განა სათქმელი არ მაქვს?!

რატომ აღარ ცელქობ ლაშა?!

დაგსაჯო? მაინც ვერ გიშველის,
 მომბეზრდა გაწყრომა, დაშლა,
 დაქრიხარ ნუკრო ფეხშიშველი,
 მუხლი არ გედლება ლაშა?!
 დედას არ ემჩნევა დაღლა,
 სული _ სარეცხვით გაშრა...
 ავად ხომ არა ხარ ახლა,
 წყნარად რატომ ზიხარ ლაშა?!
 ჯერ ნუ დაკაცდები, წლები
 გიდგას ლიმონათზე ტკბილი,
 მითხარ აგრემც გენაცვლები
 ხომ არ დაგიტოვდა კბილი?!
 მამიკო ჯერ მაინც არ ჩანს,
 მითხარი რამ გაგაბრაზა?!
 მერე რა, საჭმელი დაგრჩა,
 მერე რა, გაგიტყდა ვაზა.
 თუ კი ვერაფერს უშველის,
 რად გვინდა ნერვების აშლა...
 ავად ხომ არა ხარ შვილო,
 რატომ აღარ ცელქობ ლაშა?!

ცისფერთვალეზა ბიჭი გოგია *მამას.*

ბიჭო გოგია! _ შენ გეძახიან.
 მოლალურები _ შენი დებია,
 სად გაგვიშვიო, შენზე ახია...
 და დაბრუნებას არ გპირდებიან
 იშმუშნებიან ხეზე კვირტები.
 და როს დარჩები მარტო სრულებით,
 ვენახის თავში ჭრელი ჩიტები,
 მოფრინდებიან დების სულები.

ხელს მოიჩრდილავს, გზას ვერ გაიგნებს,
 დგას კოჭლი, წელში მოხრილი ლეღვი...
 ხმელ მიწაზე რომ დარდი დაიგე,
 წლებს მოუწყვიათ, ბიჭო, სარეხვი.
 მოლალურები თავს გევლებიან;
 _ ადექი, გაზაფხულის დოღია,
 შენ კი პანტის ქვეშ ჩაგძინებია,
 ჩიტი გეძახის: _ ბიჭო გოგია!

მე უშენოდაც მოვკვდები

გული ოცნებით დამტვერე, გაუშვი ილიდინოს,
 მე გაზაფხულით დავთვერი, ნუ დამაძალებ ღვინოს,
 ბაგეს გახსნიან ატმები, კოცნი ვერ ეტყვი უარს,
 სიყვარულს მოვენატრები, ბრმა იყო, ახლა ყრუა
 ვერ გავაგონე ძახილი, შინაბერობას ითმენს,
 ხეები, კაბებგახდილნი, ელიან თოვლის თითებს.
 რამ შეგიბორკა მკლავები, მომიალერსე ცოტა,
 მე უშენოდაც მოვკვდები, შენ არ დაიდო ცოდვა.

სად გეჩქარება?!

ჩამოგრჩე? დამენანები,
 არა და ველარ გეწვევი,
 გაზაფხულამდე გავძლებ და
 მერე იებად გეწვევი.
 არსად გამისწრო, მიცადე,
 სუსტი ვარ, გაუბედავი,
 ამ მოკლე წუთისოფელში
 სად გეჩქარება ნეტავი?!

ვარ ჩიტისგულა ქალი

თუ ამორძალი გგონივარ,
 ხომ არ გატყუებს თვალი?!
 ფრთამოტეხილი გნოლი ვარ,
 ვარ ჩიტისგულა ქალი.
 მთიებად აგედევნები,
 გზა გრძელია და რთული,
 ჩიტივით ამიფრთხიალდა
 შენგან ნატკენი გული.
 მაინც მიყვარხარ, გეძახი
 ნალალატევი დალი...
 ჩიტივით გული მისკდება,
 ვარ ჩიტისგულა ქალი.

რატომ არა ხარ?!

მეუბნებიან ლამაზი ხარო,
 რად ვერ მოგხიბლე, აბა, ვეროდეს?!
 გაზაფხული რომ გულით იხარო,
 გაზაფხულება უნდა გჯეროდეს.
 თუ სიყვარული არ შეგიძლია,
 ვერც შემამჩნიე უგულო კაცო?!
 რატომ არა ხარ ჩიტი ნიბლია,
 ნარზე მძინარეს რომ ხელი გტაცო.

* * *

დღეს ისე მაკლიხარ,
 დღეს ისე მიმძიმხარ,
 დარდი ვარ გამარცვულ ხეთა,
 შენ ჩემთვის სამყაროს ოდენი
 ბიჭი ხარ,

მე შენთვის რაი ვარ ნეტა?!

მესიზმრა მუხრან მაჭავარიანი

რა დაგიშავე და რატომ დამესიზმრე,
 ალვის ხეს _ კუნთმაგარი მუხა,
 შენ გეშინოდეს თუ მეხი გავარდა
 და თუ სადმე დაიქუხა.
 ლექსები წერეო?! ნეტა შენ რა გრჯიდა,
 ნეტა შენ ამაზე წუხხარ?
 საკუთარის წერას შენი ლექსის კითხვა
 რა ვქნა, მირჩევნია, მუხრან.

უჩინარია

ნეკერჩხალია თუ ჩინარია,
 კაბებს იხდიან ქარის ნანაზე,
 პოეტი თვითონ უჩინარია,
 სახელი დადის ამ ქვეყანაზე.

გარდაცვალება

მეკარგებოდა მოლაციცე ლანდი ეკვდერის,
 სასოწარკვეთას მიჰკიოდნენ სივრცეს ზარები,
 მე არაერთი, ქვეყანაზე, ვნახე სიკვდილი,
 მაგრამ სხვა იყო ოცნებათა დასამარება.
 გაგიშრებიან სულში ნაწები, სველი ფუნჯები,
 გაიოცებენ, დღეს ლექსებად თუ აენტები,
 ჩამოდგებიან სამათხოვროდ ბრმები, მუნჯები,
 ხელმოცარული ფერმწერები და პოეტები.
 მოდის ეოსი, ნამძინარევ თემოს მოარხევს,

მზე სულ შიშველი ზეცის კაბას დილაღად ებნია,
ჩემს გადარევას შეარქმევენ ათასგვარ სახელს,
ნამდვილ მიზეზს კი _ ვერ მოძებნიან.
ქარმა რა უთხრა, ნეტა ასე რად აგლოვდა ხე,
რას უსამძიმრებს მზეს, ღრუბელი წვიმისთვალემა,
მე არაერთი შეუცნობი სიკვდილი ვნახე,
მაგრამ სხვა იყო: სიყვარულის გარდაცვალება.

ოაზისი

მზარავს სარკმელი _ ყინულებით ამოლესილი,
მიწის ბექთარი _ გაზაფხულით დანაკონკები...
ძარღვებს ვიჭრიდი გაწყვეტილი ჩემი ფესვივით
და გზააბნეულს დამცინოდნენ ამაზონკები.
მკვდარი დუმილი გამჭვირვალე სულში დაქროდა,
ესეც სასჯელი; ჯოჯობხეთში ფერი მაჩუქეს,
მოვიდეს ვინმე, გამიყვანოს ამ უდაბნოდან...
ამომასუნთქოს, განმარიდოს მხუთავ ქარბუქებს.
აფეთქებული დედაო მიწავ, განა სხვისი ვარ?!
ნუ გეგონება დაგივიწყე რაც ქარი მლოშნის,
მიტოვებული, მარტოხელა ოაზისი ვარ,
დავიჩოქე და გელოდები ამ უდაბნოში.
გზააბნეული აქ დუმილი მოვა მარტოდენ,
სიცოცხლის ფერი ჯოჯობხეთში რატომ მაჩუქეთ?!
გემუდარებით გამიყვანეთ ამ უდაბნოდან
და ერთხელ მაინც თავისუფლად ამომასუნთქეთ.

ხაბაროვსკის მხარე

ნიახურა

ჩაილურის ციხეს

გვტორავდნენ ტკივილით წლები მოჭიხვინე,

ჟამმა უცვეთელი ბრჭყალები გვაჩვენა,
 კვდებოდა ციხე და ღმერთო რა ვიხილე;
 ქონგურებს ცრემლივით წასკდათ ქვათაცვენა.
 დღეს შენი პატრონი ცა და გამჩენია,
 ლეგენდა ხსოვნაში სიყვარულს აჩაღებს;
 აქ თურმე მეფე-ქალს ქოში დარჩენია,
 ღამე უთევიათ მარაბდელ “ყაჩაღებს”. –
 და მერე მოსულან შორეულ მითებად;
 ცარიზმი, მეზრძოლი ბატონიშვილები...
 იდგნენ და ელოდნენ უსისხლო დიდებას,
 კოშკები, ფიქრივით ღრუბელაშლილები.
 გწყდებოდა ნაომარ ბერიკაცს გული და
 ხავსებდასეული თუ ბერწი ლოდები,
 გასმევდა სინათლეს ცა მთვარის სურიდან,
 ძვლებში იშლებოდი მამულზე მგოდები.
 მტერი მტერს აჯახეს ბაგრატიონებმა,
 შენი საძირკველი რომ სისხლით ეკვებათ,
 მანავში გაპარულ გვირაბს, გეგონება,
 ღამე შემოაცვეს ალგეთის ლეკვებმა.
 დღეს შენი პატრონი ცა და გამჩენია,
 ლეგენდა ხსოვნაში სიყვარულს აჩაღებს,
 აქ ერთხელ მეფე ქალს ქოში დარჩენია,
 ღამე უთევიათ მარაბდელ “ყაჩაღებს”.

კავთა

ტყედ გახიზნული თვლემდა ტამარი,
 ფერდობს ფარავდა ფოთოლთ ფინება,
 წუხდა იმედი უზარმაზარი;
 მე სათნოებად მიმეძინება.
 მე სიყვარულად მინდა ვითენო,
 როცა დუმილში ყვინთავს ტყე-ველი...
 ვინ უთხრას ღრუბელს – ცრემლს ნუ იდენო,
 გასისხლულია საკურთხეველი.

ამაოებას შეენივებთ;
 სუფრა, სასმისი და ღრიანცელი,
 იჯაგრებიან ძველი მითები,
 კაცი არა ჩანს აქ ხმის გამცემი.
 გაათამამა ღვინომ თანდათან,
 მტირალ ღვთისმშობლის არვის სცხვენია,
 ამ ქრისტიანულ ეკლესიასთან
 რა წარმართული ღრიანცელია?!

1976წ.

მზის აღსაყდრება

მზე ღრუბლის ბლონდით გადაივლის დანისლულ სერებს,
 ჩამოეშვება ხელთუქმნელი ხევებზე ფარდა,
 მეხი ძლიერ გულს დაეცემა და დაასვენებს,
 ყველა იძინებს წამიერად, სიკვდილის გარდა.
 ღრუბლების კარტი გაუშალა ქარმა საღამოს,
 ეჭიდავება სიბნელეში თეთრი ალვის ტანს,
 ხარი ხარს ეძებს, შმაგი სისხლი უნდა დაღვაროს,
 ვინც ვაჟკაცია ლელოს ერთხელ მაინც გაიტანს,
 ვდგევარ ბნელში და ველოდები მზის აღსაყდრებას,
 ჩამეცინება ვარსკვლავების იავნანაზე,
 დავეწაწლები სიყვარულს და თავდავიწყებას,
 ვიდრე ჩაქრება გაზაფხულივით სილამაზე.

1977

მათხოვარი

მერაბ აბაშიძის ხსოვნას

“მე მათხოვარი ვარ, მაცვია ნადოძი, ფლასი,
 დავატრევ სიცოცხლეს, როდის დამთავრდება ჯვარცმა?
 ჩემთვის სიყვარულის, მადლის და სიკეთის ფასი,
 უარყო ღმერთმაც და უარყო ცოდვილმა კაცმაც.
 მე ვარ საქართველოს დაფლეთილი სულის ძეგლი,

მუზამაც დატოვა ღარიბი პოეტის ბუდე,
 გარდაცვლილ იმედებს ვეძებ, დავიდალე ძებნით,
 წევს პირდაღებული ჩემი დაქექილი ქუდი.”
 მეგობრად შემორჩა; ცივი და ბინძური ქუჩა,
 გული გაყინული, მარტო ტკივილები ცხელი,
 ჭუჭყიან ძონძიდან სულის ნაფლეთები უჩანს,
 იცით, ვისი იყო მორცხვად გამოწვდილი ხელი?!

ერთად ყოფნა მოენატრებათ

მოწყურებული გაზაფხულის წვიმით დათვრება,
 არ დაელევა დიდ სიყვარულს სულის ფეთება,
 ჩვენს საფლავებსაც ერთად ყოფნა მოენატრებათ,
 ჩვენს საფლავებსაც მარტოობა დაებედებათ.
 ათიათასჯერ მთის ქოჩორი შეივერცხლება,
 დგას ბუმბერაზი სიყვარულის მზით დანაოსი,
 შავკაბიანნი ჭირისუფლად მოვლენ მერცხლები
 და ეწყინებათ მარტოობა სასაფლაოსი.
 მყვირალობისას იღრიალონ ხმამალა მთებმა,
 ჩამოსხდებიან ვარსკვლავები ხეზე ატმებად...
 როს გაზაფხული სიყვარულით გაიკვირტება,
 ჩვენს საფლავებსაც ერთად ყოფნა მოენატრებათ.

მაინც სიყვარული მქვია

როცა გაზაფხული მოდის, თესლში იშმუშნება ია,
 თუნდაც გაგირბოდე ბიჭო, მაინც სიყვარული მქვია.
 თბილი საღამოა როცა, ვარსკვლავთა ჭრიჭინი დამდლის,
 გულზე აჩრდილივით ცოცავს, ლოდინი რაღაცა ახლის.
 ტკივილებს ვერ დამიამებ, მიშალო ლექსების ფარჩა,
 ბედო, მათქმევინე რამე, ერთი სათხოვარი დამრჩა.
 დავდივართ ცალ-ცალკე ასე, გზები სად გაყარა ბინდმა?
 ერთიც მომაწოდე თასი, ერთი სადღეგრძელო მინდა.

გეხვევი ღრუბლების ქულით, მთაო რად ვერ შეგიტყვია?!
რა ბუმბერაზია გული, როცა სიყვარულის ტყვია!

1977

ნატურა

მ-ს

სიყვარულით მხატავდი, მოგტიროდნენ ფერები,
დამაღვენთე ტილოზე, ფიქრთან შენაფერები.
უკვდავებად მისჯილი ცივი ჩარჩოები და
საღებავი უფერო წვეთავს წამწამებიდან.
ჩემი ბედის მხატვარო, შემოქმედს ეტოლები,
ემსხვრევიან ღამეებს მოკიაფე ბროლები,
მოჩანს თხელი თმებიდან თოვლისფერი გამები,
აწყდებიან ჩარჩოებს მოსწავლულო გვამები.
დაიღალნენ წამები, ბორგავს ცივი ნატურა,
წლებმა ნათამამები იჭვი დამიდასტურა.
სიკვდილის გამრიყავი-ნატურმორტი გამხადე,
ზღაპრის ქალი ვიყავი, ატმის ხედ გადამხატე?!

დაბადებამდე

ქარი გაზაფხულს გულ-მკერდს ახლიდა,
დაბადებამდე იგლოვა ია,
და სიყვარული, ჩანასახიდან,
დასალუპავად ბედს წაუღია.
დაბადებამდე ცრემლი დამდევდა,
დაბადებამდე ვისწავლე დარდი,
დაბადებამდე მიგლოვა დედამ,
მესამე გოგო _ ზედმეტი ბარგი.
შეყვარებული და თავგასული,
ამდევნებია ვარსკვლავთა დასი,
დაბადებამდე გიცნობდა სული,

დაბადებამდე მიყვარდი ასე.

1990

ბარათები

გამახსენდება ის დღეები, როს გულთა შორის,
თეთრი ჩიტები დაფრინავდნენ, ამბისტანია,
აუ, რამდენი იმედები მოსულან შორით,
რამდენი დიდი განშორება აგვიტანია.
მათ სიყვარულის ამინდები დააცილებდნენ,
ფურცლებს ვუმხელდი ტკბილ სახელებს, ვინც თავს მერჩივნენ,
ნეტა გულები დღეს უთქვენოდ როგორღა ძლებენ,
თეთრო ჩიტებო, ფრენას რატომ გადაეჩვიეთ?!

სულ დაუკითხავად მოვიდა

წყაროსთან ხეები მღერიან,
ვდგევარ და უაზროდ ვიციანი,
ნამკვები ლექსებს არ ელიან,
უდროოდ მოდიან ისინი.
მოვდივარ ჭრელი ბავშვობიდან,
ვერთობი მოჩითულ მდელოთი,
სულ დაუკითხავად მოვიდა,
სიყვარულს მე კი არ ველოდი.

1978

* * *

ნეტა ვინმე დამამგზავრა, საფიცარი გავხდე მისი,
ერთი ოდა მომცა სადმე, სტუმრად ხან მზე და ხან ნისლი.
ერთი ლექსი მათქმევინა, ყელი ჰქონდეს ალაზნისი,
გამძლეობის ნიჭი მომცა, ნინოსი და თამარისი.
ცეროდენა კაცუნები თავს კაცებად ასალებენ,
სცადეს და ვერ გამიმრუდეს სიყვარულის გასალები.
ციხეები და დაჩები, ფარჩები და ფარდაგები,

რას აგროვებ, რა დაგრჩება საიქიოს წასაღები.
 ორი მეტრი მიწის გარდა, დაგჭირდება ცხრა ფიცარი...
 ბედო, ვინმე დამამგზავრე, გავხდე მისი საფიცარი.

ქურდი ჯობია თუ მათხოვარი?!

ისე დახუნძლულან ალუჩები,
 ველარ დავემალე ყანა-ყანა,
 მივრბივარ ასაკის გაურჩებით,
 პეპელამ მინდორში წამიყვანა.
 მდელოზე ყაყაჩო შევიგულე,
 მიდი, ნახე, ისევ მანდ ხომ არი?!
 ვცადე მომეპარა შენი გული,
 აბა, ხომ არ ვიყავ მათხოვარი?!

1980

ყველამ იცის

ნ-ს

დაჯირკებული მსხალი, ჩემზე საცემად იწვეს,
 ვაიმე, ეგ საწყალი, ბუხრის პირს უნდა იწვეს,
 ვარსკვლავები და ღამე ჩამოაყრიან სიცილს,
 ცვარი ვარ მოკამკამე, შენს გარდა ყველამ იცის.

სად მიგეჩქარება, გზებგამქრალო!

წახვალ, მონატრება გამაწამებს,
 უშენოდ მოიწყენს სოფლის წყარო,
 ნუ მიშლი, თუ შენზე ვიოცნებო
 და ნაკადულივით ვიწანწკარო.
 წახვალ, მონატრება გამაწამებს,
 სად მიგეჩქარება _ გზებგამქრალო!

მიშველეთ!

მინდა გავლამაზდე, ყანიდან ფიქრი აფრთხა,
 ვპუტავ ყაყაჩოებს მღელვარე თითებით,
 ვაიმე, სიყვარული სადღაც ჩამისაფრდა,
 მიშველეთ, გაზაფხულით ვირთვები!

* * *

შემოდგომაზე მეწვევა ქარი,
 რომ არ მტანჯავდეს კვლავ სიმართოვე,
 მე ვარ ოცნებამოკლული ქალი,
 ქალი, რომელიც შენ მიატოვე.
 ქარგავლილ ბილიკს ვემებ ამაოდ,
 დგანან ხეები გადაქარული,
 შემოდგომამდე გამოვიტირე,
 რომ არც მქონია, ის სიყვარული.
 ტიტველ ბილიკებს, ნაცემ ბილიკებს,
 შეურაცხყოფილ ქალივით სძინავთ,
 სურვილდაუმცხრალ ქარს აქილიკებს,
 და მზემ ვერა და ვერ გაიცინა.
 აქვითინდება ობოლი ქნარი,
 ფეთქავს ტკივილი გადანახული,
 შემოდგომაზე წამიყვანს ქარი,
 რომ არ მიყვარდეს შენი ზაფხული.

დას _ დარეჯანს

რა მეშველება
 შენ აღარ წერ შუშხუნა ლექსებს,
 რა მეშველება!
 ყველას ტკივილი შენ რადა გტკივა, დაისვენეო,
 მეტყვის დედა, არ მესვენება!
 რის დასვენება, შენი ბედიც ხომ მე მატირებს,
 რა დასვენება!

შენ რახანია ლექსებს აღარ წერ,
 რა გეშველება!
 აღარ ტირიხარ, აღარ გიყვარს, არ გეფერება...
 რა ეშველება, იმ დიდ ოცნებას
 რა ეშველება?!

1984

დედოფალთა მხარეში

ცა ისეთი უსაზღვროა, ბაცია,
 სიყვარულად აენტება მგონია...
 ამ დედოფალს ტანთ ოცნება აცვია,
 იმ დედოფალს ჩიტის ფრთები ჰქონია.
 სიყვარულიც, ლექსიც, დედოფალია,
 ვიქნებოდი მათი პირისფარეში,
 მბრძანებელი ახლა თვით უფალია...
 თუ დამტოვებს დედოფალთა მხარეში?!

1981წ.

მზე პირს იბანს

უღიტინებს ელვის ურჩი მახვილი,
 ცა იფერებს გამჭვირვალე ქოლგას,
 ატორტმანებს გაზაფხულის ძახილი,
 ურითმებო სტრიქონივით ბორგავს.
 საწვიმია და მზე თვალებს ნაბავს,
 როგორ მოჰგავს ზეცა ფიქრსა ჩემსა...
 ღრუბელს მკერდზე შემოერღვა კაბა,
 ცისარტყელამ უცებ დაუკემსა.
 “მიყვარხარო” – ჩიტმა ენა მომიტანა

ნუ აცეკვდით, მე და ღრუბელს გვარიგებენ,
 მე ვჩერდები, ღრუბლები კი არ იგებენ!
 დღეს გვირილა ჩემზე უფრო სულელია,

ეჩვენება მის “ჰო”, “არას” სულ ელიან.
 ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ო,
 ჩიტმა ენა მომიტანა,
 აქა ვარო, მოგელიო ყანა-ყანა,
 მეშინია, ჭორაობენ გვირილები,
 თორემ უკვე გავზაფხულდი თანდათანა.

1980.

ნუ მესიზმრები

არ დამაფიცო, მე არ მიყვარს ფერისცვალება,
 არ დამაძინო, ვალო, სიკეთით გადასახდელიო,
 ტკივილებამდე ლამაზთვალება
 ნუ მესიზმრები, ვერ ასახდენო.

დაგვტოვე მარტო

ფუნჯდაუდები ტილო ხარ, თეთრი,
 გადამიხატე გულზე ჭრილობად,
 ოსტატო, ფერი მიპოვე მკვეთრი,
 თორემ დაუჭკნა სულს აპრილობა.
 ვიდრე დამფარავს სიყვითლე, ბაცი,
 ჩამომაფერთხე უხეშ ტილოზე,
 დაე, შეწყვიტოს გულმა ბარბაცი,
 დაუსაბამოდ შენში ვტიროდე.
 მე შემომხედე, ჰეი ოსტატო,
 რად გინდა ტილო ფუნჯდაუდები...
 შენ გაზაფხულო, დაგვტოვე მარტო!
 შენ სიყვარულო, ნუ დაუნჯდები.

მარჩიელობა

_ ბედია და მოვა, ოდეს
 ინებებს თვით სულიწმინდა...

ჩრდილების იმედი მქონდეს?!
 ბედის გაურჩევა მინდა!
 _ მთაზე ხარ, ნურავის ყვედრი,
 მოჩანს სინანული ცოტა...
 თურმე გავაჯავრე ბედი,
 მაძევს სიყვარულის ცოდვა.
 უნუგეშო დღეებს ვიცვლი,
 როგორც დამოკლებულ კაბას,
 ტყუის ყავის ჭიქა, ვიცი,
 მაინც ვუსმენ, რა ვქნა აბა!

უფლისციხეზე ისევ ბინდია

ნისლი მოჟონავს მთების სურიდან,
 საქართველოზე ისევ ბინდია,
 ღრუბლებს გზა უდევთ უსასრულო და
 მონგოლებივით გზებზე ჰკიდებიან.
 დაბარბაცებენ გულნაისრები,
 მთები – უნო ერისკაცები,
 დამალე შენი ტურფა ნისლები,
 თორემ ლეკები გაიტაცებენ.
 საით გაზიდეს შენი ქალები,
 შენი ვაჟები საით მიდიან...
 შენ გეძახიან, სად იმალები,
 სად ხარ პაატა, ცოტნე, მინდია?!
 დგანან სოფლები, ვით ქვრივ-ობლები,
 ოლოლებივით დღეებს ითვლიან...
 უფლისციხეზე შავი ღრუბლები
 მონგოლებივით გადაივლიან.

1983წ.

არტანუჯის გაზაფხული

აშოტ კურაპალატის სატრფოს მონოლოგი.

არტანუჯის ციხესავით ქედმაღალი,
 სისხლიანი გული ედგა საუკუნეს,
 უძლეველი ეკლესია გადავღალე,
 ვერ ვუშველე მაინც ტრფობას განუკურნელს.
 და ავანთე სანთელივით ჩემი სული,
 სენაკებში სიყვარული ჩავაშუქე,
 არ მაჩუქე დედოფლური აღსასრული,
 საქართველოვ, შენი მეფე არ მაჩუქე.
 მე უშენოს რას მიშველის ეკლესია?!
 სანთლებიც კი იწვებიან ჩემი ცოდვით,
 ბევრი თხოვნა და ვედრება შეგლესიათ,
 წმინდანებო, ფრესკებიდან ძირს ჩამოდიოთ!
 დამიბრუნეთ ჩემი მეფის თბილი მკლავი,
 არტანუჯის განთიადი მენატრება...
 დე, დამერქვას მეძავი და მრუში ქალი,
 ოღონდ სულში გაზაფხული ნუ ჩაქრება!

1984წ.

ნუშის ხე ვარ

გაზაფხული ალაზანზე გამეპარა,
 სიხარული გაიტყუა ჩემი წილი,
 დახუნძლული ბლის ტოტია სიჭაბუკე,
 სულ ცოტა ხნით მოსაკრეფად ჩამოწვდილი.
 ავედევნოთ, ქარებს ავყვეთ აღმა-დაღმა,
 დაუბეროს, თმიდან ფქვილი გადაბერტყოს,
 არ დაეტყოს გულს ძაბუნი, მუხლებს დაღლა
 და სიყვარულს დაბერება არ დაეტყოს.
 სითბო მინდა, იმედივით ერთი ბეწო,
 ნაწვიმარზე ნისლი ბოლავს რახანია...
 ნუშის ხე ვარ, ქარო ფრთა არ შემალეწო,
 არ გამახმო, ჩიორები დამხარიან.

1984

* * *

მიდიხართ ბავშვობის დღეებო,
 ფეხშველა გარბიხართ მოლიდან...
 ისევ გუგუნებენ ტყეები,
 ენძელაც ჩემ სახლთან მოვიდა.
 შეჩერდით, ამაოდ ნუ ელით,
 ხომ იცით ზღაპარი წავიდა...
 თავს იკლავს ჭრიჭინა კრუალით,
 მაინც არ იწყება თავიდან.
 მოძველდა ლექსი და ოცნება,
 დაბერდა პრინცი თუ მარკიზა,
 დაგშორდით ბავშვობის დღეებო,
 დაგშორდით წყნარად და ფაქიზად.
 1979წ.

გასაკვირია?!

ვარსკვლავები ზეიმობენ ცად მოფენას,
 ჩამოუვლის მთვარე ცეკვა-თამაშით,
 მიზრახავენ სიყვარულის გამოფენას,
 გასაკვირი რა იპოვეს ამაში?!
 გაზაფხულის მეტი სხვა რა მეზადა,
 დავებდები ბახტრიონთან კვირიას...
 მეც შევიძლო მინდა ერთგულება და
 შენთვის მოვკვდე, განა გასაკვირია?!

იასამნის ჩივილი

მაკროთობს ჭრიჭინების სიმფონია,
 რას მიციგლიცებენ ვარსკვლავები?!
 მე დღეს პაემანი არ მქონია,
 მეხვევა, ვისია ეს მკლავები?!
 ვიცანი შენი ხმის აკორდები,
 დაიხუჭე, კაბის გახდა მინდა...

მომეჩვენა, არც კი გაგონდები...
ქარი ბალახებში გაქვითინდა.

ბაგების გზაზე

შენ აჭორავე ჩემზე ხეები,
მაღლობელი ვარ...
შენი უიღბლო ბედნიერების
ახლობელი ვარ.
უსასობა შეგზარავს ხეთა,
ობოლო ცაო,
არ თქვა ბილიკი შენი გულისა
შემეშალაო,
შენ გაგიტყუეს ცივმა წვიმებმა,
წკრიალა ხმითა,
სულის ნაწილო _ ბედნიერ იყავ,
მეტი რა მინდა?!

კაფიაობა

გადმომიქნიე ლექსი ნამთევი,
ჩემი ფიქრების გორავ, მაღალო.
ოცნება შენთვის ღამენათევი,
ლექსის წერაზე როგორ დავღალო?!
განა რამე დაგიშავე?!
მოდო ჩემთან პაწაწინა ჭია-ჭია მარია,
ზამთარია, დამიზრები, სიცივეა, ქარია,
ვინ გეძახის?! შენზე უფრო ცუ-ცუღლლუტი ქალია,
წითელ კაბას შევიკერავ მეც შენსავით, ხალიანს.
ხევის პირას, სველი კოკით, მგზავრმა წყაროდ დამლია,
სიყვარულმა დამაღონა, მოლოდინმა დამლია.
აღმართი ვარ, დასიცხულმა პაპამ ხვნემით ამლია,
მაყვალი ვარ, ცელქმა ბიჭმა გამკრიფა და გამლია.

* * *

ჩემი გითხარ, მოდი ახლა შენი გული გამიშალე,
 სიმარტოვის ღამეები ხელის გულზე წამიშალე,
 თუ გვირილას დავუჯერო, ცრუ ფიქრები დამიშალე,
 მოდი ჩემთან, სიყვარულით განა რამე დაგიშავე?!

ქაჯანა

ზოგიერთი კაცის გასაგონად

ვინ იცის ქალია თუ ნამი,
 თრობად ჩაწურული ღვინოში,
 გრიგალი, მეწყერი, ცუნამი,
 ფაქიზი და არა რიოში.
 გზას უტევს ნამდვილად ქაცვია,
 ვარსკვლავი თვალს უკრავს ცბიერი,
 ისეთი სიმშვიდე აცვია,
 მამრები დატოვა მშვიერი.
 ქუხს, თუ შლეგი გულის ხმა არი?
 ხორცი ჟინმა აიყოლია!
 რა იყო, ვიღაცის და არი,
 რა მოხდა, ვიღაცის ცოლია.
 ვინ იცის რად დადის ცალადა,
 ან მარტოსულს რა ეფონება,
 ისეთი ქალია, წავა და
 წაიღებს გულსა და გონებას.

1984.

ცოტა გაზაფხული მინდა

სამტროდ არ მოვსულვარ, ჩემი სიყვარულით
 შენი სათნოების და ვარ,
 სადღაც მოსმენილი, მერე დაკარგული,
 სიმღერის ექოსებრ დავალ.

თუ არ გჭირდება და თუ არ დაგენანე,
 წავალ, არ მსურს მოთქმა-მითქმა,
 მსურდი სასოებად ლექსში დამემალე,
 როგორც თვითნაზადი რითმა.
 შენი სიხარულის ვარ ასომთავრული,
 დაგასწრო, ბიჭო, მზემ დამწინდა,
 სამტროდ არ მოვსულვარ, ცოტა სიყვარული,
 ცოტა გაზაფხული მინდა.

რად მეძახი?!

შენ გაჩუქე გაზაფხული სრული,
 დამრჩა ნისლით დაცვარული მდელო...
 კოკასავით გამებზარა სული,
 რად მეძახი, უნდა გამიმრთელო?!

1984

* * *

მიყვარხართ, მაგრამ
 სიყვარულის ღირსი კი არ ხართ,
 უბრალოდ მე არ შემიძლია რომ არ მიყვარდეს.

* * *

კი არ მიყვარდი,
 გაკვირდებოდი,
 და სიყვარულის ვეძებდი მიზეზს.

* * *

ვინა ხარ შენ?
 ვეკითხები საკუთარ თავს,
 დავეძებ პასუხს, და ვეძებ მასთან მისასვლელ გზას.

* * *

გაყინულ ხეებზე დამზრალი ჩიტები,

ბნელაში ტირილით ეძებენ ერთმანეთს...
 სადღაც სიკეთეზე ლაყბობენ ზღაპრები_
 ტყუიან ღმერთმანი!

* * *

არ მახსოვს დღემდე როგორ მოვედი,
 არც ის, წერეო, რომელმა მითხრა,
 ნეტავი ერთხელ სხვისი გონებით
 ჩემი ლექსები გადამაკითხა.

მთაო!

ერთად გავტეხით უძილო ღამე,
 მწყემსურ ნაბდებში შემოპარული,
 ხვალ ისევ გზები გაგვასავათებს,
 ცალბილიკები კლდეზე გაკრული.
 რა გამაჩნია სიზმრების მეტი,
 ჩემი სიმდიდრე ცისკარს მიჰყვება,
 ტყეში დაკარგულ ნადირის გეშით
 ვეძებდი შენთვის სათქმელ სიმღერას.
 ავეკვიატე მწყემსურ ბილიკებს,
 ნაბდად მეხურა თუშური ღამე,
 თქვენი ვარ მთებო, თქვენ გზებს მივიკვლევ,
 ვაჟკაცობისა მითხარით რამე!
 ავედევენები წინაპარს კვალზე
 და სიყვარულით გავილუმპები,
 დავილუპები მთაო უშენოდ,
 უსიყვარულოდ დავილუპები.
 თუ გაზაფხული ვერ დავიამე,
 ლექსად იფეთქებს ჩემი სხეული,
 ერთად გავტეხით თუშური ღამე,
 მწყემსის ნაბადში გამოხვეული.

1984

დედას იფიცებს ხევსური ბიჭი.
ალექსი არაბულს.

უსწავლებიათ მტრობა და იჭვი,
გზებს ბინდიანს და მთებს ცივნილიანს,
დედას იფიცებს ხევსური ბიჭი,
ხევსურის დედა თავად ფიცია.
მთა გულზვიადი ვაჟკაცებს ეტრფის,
მთას ვაჟკაცები არ მოუღევა,
ვიღაცას მოკლავს სიკვდილი ერთი,
ხევსურს სიკვდილიც ვერ მოერევა.
კელაპტარობდეს პირიმზის ალი,
ღალატი რაა, ალბათ არ იცის,
და თუ ატირდა ხევსური ქალი,
გლოვა იქნება ცისა და მიწის.
უსწავლებიათ ნდობა და იჭვი,
მთებს ღარტაფიანს და თეთრნილიანს,
დედას იფიცებს ხევსური ბიჭი,
ხევსურის დედა თავად ფიცია.

1984

მურმანის არია
(რეაბილიტაცია)

ბნედიან ღამეს შევრჩი ფიტული,
საკუთარ სულის ვარ შემწირველი...
(ბრუნდება მურმან სულგაყიდული,
კუზივით მიაქვს ეშმაკის ვალი.)
ეს აზარფეშა თეთრი ქალია?
_ ვის გინდათ სხვისი დაცლილი თასი?!
საალავერდო მეფემ დალია,
... და ნადირობად წარვიდა მთაში.
შენ თუ უჩემოდ იბედნიერე,
თუ სხვა შემოგხვდა ტყეში პირველი...

ვცან სიყვარული სულზე ძლიერი,
საკუთარ სულის ვარ შემწირველი!

1984

პეპელას

”პეპელ, დაჯე, კორკოტს გაჭმევ”
მოგიქარგე ფარჩა,
გამიფრინდი, მიმატოვე,
თვალი შენზე დამრჩა.
არაფერიც არ მინდოდა,
მომისმენდი მარტო,
დაგეწევი მაგ მინდორთან,
ნუ გგონია სამტროდ.
მოდო, დაჯე ჩემთან ახლოს
რატომ გამირბოდი?!
სიყვარული გაგვიახლოს,
გაზაფხული მოდის!
1984

სხვა ქალს ვაჩუქე

გადაიკარა, თუმცა წკაპ-წკუპით
წვიმა ჩამომდის ოცნების ქოხში,
შენი სახელი დამქონდა უბით,
როგორც დედოფლის ნაქონი ქოში.
თავადის ქალი ვიყავი მაშინ,
შენ, ჩემი გმირი, ბაში-აჩუკი...
მოლალურივით გავფრინდი ცაში
და შენი გული სხვა ქალს ვაჩუქე.

სიცოცხლე

ასე მგონია გამეღვიძება ერთხელ,

მოვუხმობ დედას და ხმის კანკალით ვეტყვი:

_ დედი, იცი რა ცუდი სიზმარი ვნახე;

_ ???

_ სიცოცხლე!

1984

ნუ მოწვევთ!

სიგარეტზე მოუკიდა ბიჭმა,
 გულმოსულმა გააბოლა ერთი,
 მობრუნდა და "ბოდიშო" მითხრა,
 ვანუგეშე _ არ ვწუხდები-მეთქი.
 იჯდა იგი სიოსავით ჩუმი,
 და ვინ იცის, მიხაროდა რარიგ...
 ეწეოდა, უთბებოდა გული,
 პაწაწინა სიგარეტის კვამლით.

1984

რად დაივიწყე?!

იმედი გულში მწარედ გამკრთალი...
 შემოდგომური დღის იდილია...
 ჩვენში ერთ-ერთი იყო მართალი,
 რაც იყო იყო, გზა გავლილია.
 მწუხრის ლოცვაში გადამქრალი ვარ,
 მოგონებები ცრემლად მოვკალი...
 რად დაივიწყე, რომ მეც ქალი ვარ,
 რომ შეიძლება დაკარგო ქალი.

1986

უარი მითხრა

მახილი კი არა, დუმილი გვაფხიზლებს,
 სიცოცხლე არ იცდის, მიდის,

ფიქრებში დაგმალე, სიზმრებში გაგხიზნე,
 ვისაფრე შავთვალა ბინდი.
 ვიდრე დაფერფლილა ქორფა სილამაზე,
 რას შვრები? _ დამისვეს კითხვა,
 _ აიმ ბუმბერაზ მთას თავი შევთავაზე,
 უარი მითხრა!

1986

შე პაწაწინა ფერია
თანაკურსელ მათა გელაშვილს

სულ მოწყენილი რადა ხარ,
 ასე პატარა ფერია,
 უყვარდი, აღარ უყვარხარ?1
 ნუ დარდობ, არაფერია!
 იქნება უსიყვარულოდ
 მზის გაღიმება მნელია?!..
 სულ მოწყენილი რადა ხარ,
 შე პაწაწინა ფერია!

1987წ

ფრთხილად იყავი
მ. ა-ს

ფრთხილად იყავი, არ შემიყვარდე,
 არ შეგაყვარო თავი,
 არ მიატოვო ქარიან ზღვაზე
 თავი უნიჩხო ნავით.
 არ გაითეთრო ძარღვში სისხლი და
 შუალამენი შავი,
 ფრთხილად იყავი არ შეგიყვარდე,
 არ შეგაყვარო თავი.

შიომღვიმეში

მათბობდა კოცონთან მიგდებული

ღამე, დაფლეთილი ნაბდიძველა,
 ძარღვებს დაუარა გაზაფხულმა,
 ლექსი ღვინოსავით დამიძველა.
 დაყარა სამწვადე ნაკვერჩხალი,
 ზეცა ვარსკვლავებით გადახურდა,
 ქარმა ამირია გზა და კვალი,
 ვერ კი წამიყვანა სადაც სურდა.
 მინდა დაგივიწყო, დამეხმარე!
 (მტკივა შორეული ფითოლცვენა),
 მხრებზე წამომასხი ნაწვიმარი,
 ღამე, დაფლეთილი, ნაბდიძველა.
 სად დაგიმარტოვეს ეშმაკებმა,
 ცოდვილ სულში ნეტა რას გიცვლიან?!
 წავალ, აბა იქ რა მესაქმება,
 სადაც სიყვარული არ იციან!

1987

მაინც მოგეფერები!

მინდორ-მინდორ დავდიოდი,
 თეთრ ყაყაჩოს ვეძებდი,
 მე მეგონა შენი სულის
 აალებას შევძლებდი.
 სილამაზით თავბრუ მესხმის,
 მობრიალე ფერებით,
 ავდგები და სიოდ მოვალ,
 ისე მოგეფერები!
 სიყვარულის ქარიშხალო,
 არ წამიღო ტიალო,
 ჭალა-ჭალა, მარტოდმარტომ,
 უნდა ვიხეტიალო.
 უნდა ვთელო გაზაფხულზე
 ყაყაჩო და სოსანი,
 ზამბახების სარეცელი,

ლურჯი, ხავერდოსანი.
 შევუცურო ხეს ფოთლებში
 მოცახცახე ხელები...
 შენთან სიოდ მაინც მოვალ,
 მაინც მოგეფერები!

დამფურცლა ქარმა

მე მოვდიოდი ზღაპრებიდან და ფეხშიშველას,
 მომქონდა გული უსაზომო სიკეთით სავსე,
 მსურდა სიზმრებით უძილოთა ღამეთა შველა,
 და დამათენდა სიყმაწვილე გზა და გზა ასე.
 ჩამომიქროლა გულმოსულმა ცივმა ნიავმა,
 თავს დამატეხა გაზაფხულმა სიცოცხლის თქეში,
 დობილმა ჩემმა მიალერსა ლურჯმა იამა,
 იასამნისებრ დამფურცლა ქარმა, მაისის თვეში.

1989

შენი ვიქნები

ავდარი ბილიკებს მიცლიდა,
 ფოთლების ცვარ-ნამი დავლიე,
 შილიფად მაცვია ნისლი და
 მთაში გელოდები დალივით.
 არ გიძევს ბილიკი საძნელო,
 (ვიცოდი, მახეს რომ მიგებდი,)
 მოდი, წამიყვანე შავბნელო
 და შენი ქალღმერთი ვიქნები.

მზესუმზირა

შენი თვალთვალი მიყვარს,
 ვერ ამოგწვდები ვიცი,
 სიმინდი თვალს ჩამიკრავს,

ველარ იკავებს სიცილს.
 ქარი მკლავებზე მიწვენს,
 ამდევნებია მთვრალი,
 და საკოცნელად იწევს,
 ისემც დაუდგა თვალი.
 ჩუმად მიყვარხარ, ისე,
 გულს როგორ გადაგიშლი?!
 მზეო, არ განმირისხდე,
 გიყურო, შენ რას გიშლი?!

* * *

შხეფებს ისროდა ჩემი ლექსი დადუღებისას,
 აბორგებული სიყვარულით გულში დაჭრილი,
 აუჯანყდება ერთხელ ძარღვში სისხლი მეფისა,
 როცა სამყაროს მოშივდება ქორფა აპრილი.
 შემოუბღავლებს მონატრება შებინდებისას,
 ხარ-ირემივით მარტოობის ღამეს დალეწავს,
 ვერ შეელევა ვაჟკაცობას შვილი მთებისა,
 და მომაკვდავიც ელოდება სწორფერს, ტანლერწამს.
 არ მიყვარს სიტყვა რომ მიჰყვება მდორე დინებას,
 შევარდენივით მომთაბარე თუ კი არ არი,
 ნიბლიასავით თუ კი ნარზე მიეძინება,
 ჩამოუქროლებს დავიწყების შავი ალალი.
 თავშესაფარი დაებედა ვეფხვის ნაწოლი,
 ტოლის ძებნაში გამმაგება ხარ-ირემისა...
 სიყვარულის და გაზაფხულის ძუძუნაწოვი,
 შხეფებს ისროდა ჩემი ლექსი დადუღებისას.

შენი კაცობის საჩრდილობელი

შენი სიცილის ეშხი მებარა,
 ტოტი ვიყავი საჩრდილობელი,
 თვალს და ხელს შუა გამომეპარა,

ლოდინით მკვდარი წუთისოფელი.
 ობოლი ღამე ვინ აატირა?
 როგორ იქნება უშენოდ მშვიდი?!
 ველურ ჭიხვინით შემოვა დილა
 და უდარდელად დამცინის ჩიტი.
 დღეს გამახსენა მისმა ჭიკჭიკმა
 ერთი ზაფხულის ძალუმი ფეთქვა;
 მიყვარხარ _ მითხრა ვიღაც სხვა ბიჭმა,
 მეც ჩამეცინა, რა უნდა მეთქვა?!
 ჩემი სიცოცხლე ხომ გაგიყავი,
 როგორ იქნები ბედის მგმობელი?!
 შენი სიცილის ეშხი ვიყავი,
 შენი კაცობის საჩრდილობელი.

წყაროს წყალი ვიყო

სად დაღლილი მგზავრი მიდის,
 წყაროს წყალი ვიყო,
 დამეწიოს გზაზე ბინდი,
 სადღაც გავირიყო.
 შევეფარე მაცვლის ტოტებს,
 შავი თმებისფერას,
 ფრთა ეკალზე შევახიე...
 ვერ დამიჭერ, ვერა!
 ერთი კოჭლი მუხა ვნახე,
 ქარი უთხრის ფესვებს,
 ჩემი მიწა სავენახე
 სულ რითმებით ვთესე.
 მომყოდა მღვრიე მტკვარი;
 გამომყეო ქალავ,
 თავი ვერვის შევაყვარე
 ვერ ვიხმარე ძალა.
 გადამიჭრის გზას სიკვდილი,
 უნდა გავაბრიყვო,

სად დაღლილი მგზავრი მიდის,
წყაროს წყალი ვიყო!

1988

ოჯახი – საკანი

მოდი, გამიყვანეთ ამ ციხიდან,
ვიდრე დამაწყდება ცისკენ თვალი,
ვიდრე სიყვარული გამიხიზნავს,
ვიდრე წამეშლება მისი კვალი.
წავალ, დავნაცრდები უფრო ადრე,
ვიდრე ზაფხულები ფერს იცვლიან,
ვიდრე იმედები გამიავდრეს,
ვიდრე სიხარული შემიძლია.
მორცხვად შემოსულა ნარცისი და
სადამდე იცოცხლებს აბა ვნახოთ?!
მოდი, გამიყვანე ამ ციხიდან,
გამიშვი ოცნებათა საბალახოდ.

1988

არ დაბერდება

უკვე დაიწყეს მზის სხივებმა გადაფერდება
და კურტიზანი ღამეები შემოგვესია,
ვით სიყვარული, ტკბილი ლექსიც არ დაბერდება,
მაგრამ პოეტებს გულგრილობის ტყვიას ესვრიან.
არ უძებნია სილამაზის მეტი სიმდიდრე,
ვერ ეგუება სიჭაბუკე ფერად გალიებს,
გოგო-ბიჭებო მოასწარით ალერსი, ვიდრე,
გაზაფხულებმა ამღვრეული წლები გალიეს.
ბებერი ხსოვნა როს ვეფხვივით შეგეფეთება,
შუბლის ნაოჭი აღმოსავლურ ჩადრით შებურე,
ისევ გეძახი, რადგან სული არა ბერდება,
რადგან გაცვეთილ სხეულებში სძინავთ ბელურებს.

მწვერვალს მიაღწევ და იწყება გადაფერდება,
 დარჩება ის, რაც გულის სისხლით შეგიღესია,
 თუ პოეზიას სიმულვილის ქვას არ ესვრიან,
 გაზაფხულივით სიყვარულიც არ დაბერდება.

1989

საზიარო ბალიშს (მეუღლეს)

რომ არ ჩამეკლა სული პატარა ბავშვის
 და სიხარულის ფრთებით გეფრინა ცაში,
 ჩუმად ვაშრობდი იმ საზიარო ბალიშს,
 მინდოდა გული არ დაგწყვეტოდა მაშინ.
 შენ არ იცოდი, ისე ვტიროდი ჩემთვის,
 გადავიტანე სწეული ფიქრის ფეთქვა,
 გაზაფხულივით მოვა სხვა ქალი, გეტყვის
 საყვედურს, მე რომ ვერ გაგიბედე მეთქვა.
 სიღარიბეში მოკვდა რამდენი ლექსი,
 ვერ ვუპატრონე, ვერ მოვიხადე ვალი...
 ჩუმად ვაშრობდი იმ საზიარო ბალიშს,
 რომ არ გენახა ჩემი ცრემლების კვალი.

1989წ

9 აპრილი. 1989 წლი

ვნახე და ვერ დავივიწყე, ჩემი გარეჯის გზები,
 ჩიტები ღობემძვრალეები, ბიძაშვილები, ძმები.
 ვნახე და ველარ ვივიწყებ, ხავსიან ციხის ლოდებს,
 ირყევა მკერდნატყვიარი, ქარი ქონგურზე გოდებს.
 არავის არ ებრალება, ჩემი მშვიერი ერი,
 და უსინათლო მხედარი ლაშქრულ სიმღერას მღერის.
 ვნახე და ვერ დავივიწყე, ჩამწარებული წლები,
 სიკვდილი ორპირნალესი, თავგატეხილი დები.
 სისხლი რუსთველზე დაღვრილი და ყვავილების ღვარი,

ქართული ცრემლის ქარი და მხრებში მოხრილი ჯვარი.
 სული უკურთხათ გამჩენმა, კელაპტარივით ენთოთ,
 სიმღერის გადასარჩენად, სიცოცხლის საიმედოდ.
 სულ ყვავილებად დაღვრილა, ცეცხლი გულში რომ ენთო,
 აღარ გვიყვარდა აპრილი, რა დააშავა ღმერთო?!
 წლები მიდის და, ვინ იცის, იმ გაზაფხულის მერე,
 საქართველოში ყვავილებს ხეები სისხლით წერენ.

მე შენი მოჭრილი მარჯვენა ვიქნები

ხან კერპი დამიდგი, ხან ტაძარს მიგებდი,
 ხან ცაზე ვარსკვლავთა კოშკები გეკიდა,
 წერე ეტრატები და წერე წიგნები,
 სამყარო შექმენი საკუთარ ნეკნიდან
 ვისთვის აშენებდი ოცნების ქვეყანას?
 გზადაგზა დღეების ნამსხვრევი ცვიოდა...
 მერე, შენ სხვა ვეფხვი სად შემოგეყარა,
 და მე სულ სხვა მოყმე რატომ მომყიოდა.
 ტაძრისკენ მიმავალ გზას ველარ იგნებენ,
 მკლავმოჭრილ ოსტატის მწუხარე ფიქრები,
 საწუხარს ვუტოვებ, იტყვიან წიგნები,
 მე შენი მოჭრილი მარჯვენა ვიქნები.

დაგიღეწია ლექსის ავშარა

გ.ლეონიძეს

ამირანივით მთას მიჯაჭვული,
 აჟღერიალებდი ლექსის ავშარას,
 ტეხდი ღამეებს ნინოწმინდაში,
 შენმა ბებუნმა მთები აშალა.
 ნატვრის ხესავით ტოტებგაშლილი
 გადაეფარე ქართლის სანახებს,
 ვაჟკაცი მღერის ნაღველაშლილი,
 გმირი ჭრილობას არ დაგანახებს.

მხრებით გეჭირა სამშობლოს ზეცა,
 ლექსის ხანძარი ტანზე გებურა,
 მამულის გზაზე ჩრდილი დაეცა,
 ერკინებოდი ვეფხვისებურად.
 ყოველი ქვა და ყოველი ლოდი,
 დაგიკოცნია ერის ტაძარში,
 მარტო მახვილით როდი იბრძოდი,
 დიდგორისაკენ ლექსი დაძარი.
 ძლივს ჩაატე დევის სხეული
 ჩამოფლეთილი ჯაჭვი ჩაიცვი,
 გომბორზე ძმურად გადახვეული
 მამულ-დედულის გულზე დაიწვი.
 დიდება, ვინაც გულთა მზაფრავი
 სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი წაშალა...
 აუწყვეტია ბნელი საფლავი,
 დაუღეწია ლექსის ავშარა.

ცრემლის მაგიერ შამიწირია

ვაჟას

დააგელვებდა მთაში უბელოს,
 ფეხდაფეხ ია ადევნებული...
 საით მიდიხარ ბერწო ღრუბელო,
 გზა მიმასწავლე ვაჟასეული.
 ლაშქარს მარტო თუ ჩამეეგება,
 კლდის თავს გაწირეს მკვდარი პირიმზე,
 მკლავი წამიჭრა მტერმა ეგება,
 მსხვერპლად დამიკლეს ერის ტკივილზე.
 იქნება გულში სჭირს ნატყვიარი,
 მოზარის ცრემლით უნდა გავუთბო,
 მოვა სიკვდილი ოხერ-ტიალი,
 ვაჟაო, თავი შენ არ დაუთმო!
 ბორიალობენ მთები, დევები,
 ჩამომძახიან; ქალო სად მიხვალ?!

იების კვალზე აგედევნები,
 შენი ჯიუტი აღაზაი ვარ!
 არ მინატრია მკლავი ვაჟური,
 ქარნი _ დიაცნი ისე ტირიან...
 მიიღე ლექსი გულით ნაჟური,
 ცრემლის მაგიერ შამიწირია.

1989

რა გხიბლავს ჩემში?!

მზე მეფერება ცეცხლის თითებით
 რამან დამღალოს?!
 გაგეტოლები მზისკენ სრბოლაში
 ხეო, მაღალო.
 გაგეტოლები სიყვარულში ალვისტანიანს,
 იცი რამდენი განშორება ამიტანია?!
 გაგეტოლები ერთგულებაში,
 ციხევ ნეტარო,
 ნუ მიუცხოვებ, შენი ნეკნი ვარ,
 მსურს ჩაგეტანო.
 დაღვინდა გული და სიყვარული _
 არ დაიჯერო!
 ისევ ყვავილებს ვეტრფი ველისას,
 გული ვიჯერო!
 ქალი კი არა აღქაჯი ვარ,
 რაკი მიწოდე,
 მე ხომ მიყვარხარ,
 შენ რა გხიბლავს ჩემში, ვიცოდე!

გაბედვა

ნაწვიმარზე გადამლილი
 იის თვალით შემომხედე,
 გამაცილე, გაიფიქრე,

არ ყოფილა ჩემი ბედი.
 ზეცა როგორ დამიმძიმე,
 შენი საწვიმარი ფიქრით,
 მეტყოდი და გაგყვებოდი
 ცხრა მთათა და ზღვათა იქით.

1992

სიცოცხლეში ნუ ჩამითვლი

მზეო, დილის დადნაფიცო, ჩამოყარე ნაწნავები,
 ყვავილივით გავიშლები, თუ სიყვარულს დამწამებდი.
 რახანია გულის ჯამში, მთვარე ვერცხლის სხივებს მითლის,
 უნაყოფოდ ჩავლილ დღეებს სიცოცხლეში ნუ ჩამითვლით.
 დამაცადე ცოტა ხანი, ერთი ძნა მაქვს შესაკრავი,
 ერთი ქოხი ავუშენო, არ გავუშვა მგელთან კრავი.
 ერთი ქალი მეცოტავა, სამი-ოთხი ქალი ვიყო,
 ერთი დამჭრას მონადირემ, ალაზანზე გავირიყო.
 ლერწმის ღერში ჩამატე, მწყემსმა ბიჭმა ამამღეროს,
 მოყმესავით გადამყარე სიყვარულით შეშლილ ეროსს.
 ერთი ლექსი მათქმევინე, ერთმა კაცმა დაიმღეროს,
 დაიცალოს მთელი გული, მეტი არაფერი წეროს.
 ჩემ წილ ჭიგოს ჩამახვიე, ვაზი ვიყო, განა ფითრი?!
 უნაყოფოდ ჩავლილ დღეებს სიცოცხლეში ნუ ჩამითვლი.

1995

ქეთის ნატვრა

ისევ ზამთარი და ძველისძველი თოვლი,
 თვალებს ნოსტალგია დაფენია,
 ნეტა ენძელები აქ არ მოვლენ?
 ნეტა საქართველო რა ფერია?!
 კონკიას რომ კაზა მოუტანა,
 ჩვენთან როდის მოვა ის ფერია?
 კვენესიან არყები ალვისტანა,

თეთრი ღამეების მისტერია...

ნეტა ბეზიასთან წამიყვანა...

ნატვრა შორია და ცისფერია.

ხაბაროვსკის მხარე.

**ეს მერამდენე გაზაფხულია
(მეუღლეს)**

ეს მერამდენე გაზაფხულია,
რაც კისრად იდე მძიმე უღელი,
ეს მერამდენე გაზაფხულია,
საზრდოს გვიზიდავ ფრთამოუღლეელი.
ოჯახის ტყვე ხარ და ძველებურად
ოცნების გზებით ვეღარ მიდიხარ,
ეს მერამდენე გაზაფხულია,
სუფრის თავში და გულში მიზიხარ.

1995წ.

**დაბრუნება
(ისევ მეუღლეს)**

... და როცა შემოხვალ სახლში
შენი წუხილით თუ ლხენით,
დაგხვდები _ მობუზული შაშვი,
ბარტყები _ ჟღურტულა ენით.
არ უყვართ ლოდინი და დარდი,
პატარებს სიხარული შვენით...
და როცა შემოხვალ სახლში,
სახლი აივსება შენით.

ლამაზების გამოფენა

შრომანებმა, ერთმანეთის შავი შურით
მზესაც ოფლი მოადინეს მწვავე,

რუსთაველზე ჩაივლიან შარიშურით,
 სიონისკენ სალოცავად წავლენ.
 გრძნობას როგორ დაიოკებ გულში...
 ჯერ ზამთარი არც გასულა გაღმა,
 ამ ქუჩაზე გაზაფხულმა გუმინ
 ლამაზების გამოფენა გახსნა.

ქართული გაოცება

რას დამცინიან არყები,
 რა, სიბეჩავეს ხედავენ?!
 ცეკვაში როგორ ავყვები
 მორცხვი და გაუბედავი.
 სუნი არ ჰქონდა ქართული,
 რუსულმა იამ მაკოცა...
 პირველად ნახეს სიწითლე?
 მთელი ტყე რამ გააოცა!
 ხაბაროვსკის მხარე.

ქეთის

ქეთი, ჩემო გულჩიორა გოგო,
 ვიცი, ბევრჯერ გეტკინება გული,
 მენანები, მედარდები როგორ,
 სიკეთეა მარტო ზღაპრად თქმული.
 ყველაფერი ისე უცებ ქრება,
 ჯადოქარი სულ სხვა წიგნებს გამლის,
 და ძალიან ბევრჯერ გეტკინება,
 რეალობა _ მოწამლული ვაშლი.
 ნუ აჰყვები წარმავლობის ნისლებს
 მეწყინება, მეწყინება როგორ...
 ზღაპრებისკენ გაიხედე ისევ,
 ქეთი, ჩემო სიფრიფანა გოგო.

დედის ხმა

ყაყაჩოს დარო, მარტო რადა ხარ,
 მეძახის ქარი, აწყდება კარებს,
 მესმის დედის ხმა, ხევის გადაღმა,
 ღრუბელი მთვარეს ხელს რად აფარებს?!
 დამავიწყდება, ახლა სადა ვარ?!
 გავაღებ კარებს, ვერავის ვხედავ...
 ტაიგის თავზე მთვარე გადავა,
 დამზრალ ხეების გაჰყვება სევდა.
 მივაჩერდები უცხო სანახავს,
 წუთით სურვილმა ფრთები შეისხა,
 ტაიგის ღამეს ქარიც თან ახლავს,
 მათბობს დედის ხმა.

ნერგენი.

როგორმე გაიგოს

ნისლის პენუარი მეცვა,
 ღამე მეხვეოდა ვნებით,
 იქნება გაიხსნას ზეცა,
 იქნება გამოჩნდეს გზები.
 ვუსმენ ნატვრადქცეულ წამებს,
 გამიღე სიზმრების კარი...
 როგორმე გავიდე ღამე,
 როგორმე დაწყნარდეს ქარი.
 დღეები სიცოცხლეს მიქრობს,
 ქარი წლებს მი და მო -ხვეტავს,
 როდესაც ვინმეზე ფიქრობ,
 როგორმე გაიგოს ნეტა.

მოდით

იას უჭორეს;

– გათხოვდაო შენი მზეწვია,
 სულში ჩაეფშვნა პაწაწინას
 იმედის ლოდი.
 ცის საუფლოში ფიქრთა ჩემთა იჭვი ეწვია,
 აუტანელი როს გახდება ლოდინი –
 მოდი!

1995

დედის საიდუმლო

”მე ახლა ვხვდები
 ოცდაათი მკვახე წლის შემდეგ,
 რად “არ უყვარდა” დედას ბარკალი”
 ძველი რვეულიდან
 “არ უყვარდა” ბარკალი და მწვადი,
 “არ შვენოდა” ატლასი და ფარჩა,
 ოცდაათი მკვახე წელი გადის,
 საიდუმლო გამოცანად დარჩა.
 დასცინოდა შინაბერა მარო,
 ხუნდებოდა თავსაფარი ძველი...
 “რად გინდოდა ოთხი შვილი, ქალო,
 ან ღარიბ ქმარს როგორ გაუძელი?!”
 მამის მამას ჩამოართვეს მიწა,
 ყამირივით გაუტეხეს გული...
 ბერი პაპა სოფლის თავში მიწვა,
 სოფლის ბოლოს შავქოჩორა ხნული.
 ფუძედ შერჩა მამა სახლის დირეს,
 მორჩილება უხმარია ფარად,
 უთოხნიდა ვენახს ბრიგადირებს...
 გლეხის შვილმა განა გაიხარა?!
 ბედისწერამ სად არ წამიყვანა...
 მიყიოდა მარღვში პაპის სისხლი...
 დამელალა მუხლმაგარი მამა,
 დედას თვალზე გადაეკრა ნისლი.

“არ უყვარდა” ბარკალი და მწვადი,
 “არ შვენოდა” ატლასი და ფარჩა,
 ასე, ოცდაათი წელიწადი,
 საოცრება აუხსნელი დამრჩა.
 ... დაფრინავდა ცაში თეთრი რაში,
 ბედი ახალ გამოცანებს წერდა...
 საიდუმლო ამოვხსენი მაშინ,
 როცა გავხდი სამი შვილის დედა.

1996. ხაბაროვსკი

ნეტა მე ის ქალი ვიყო!

ვაშლის ხეზე სიხარულად შერჩენილო,
 ბედისწერას შენსკენ გზები აებურდა,
 იქნებ არის ქალი, შენთვის გაჩენილი,
 გელოდება, მაგრამ მასაც პოვნა უნდა.
 გაზაფხული ცივ განაჩენს წაგიკითხავს,
 ბედისწერამ როგორ უნდა დაგვიბრიყვოს...
 შენ რომ სადღაც გელოდება ასე დიდხანს,
 ნეტა მე ის ქალი ვიყო!

მალე

სული გაზაფხულით მთვრალი
 გამომიფხიზლდება მალე,
 და ვით ანთებული მთვარე,
 ცას შეაბერდება თვალი.
 მრჩება გაზაფხულით მთვრალი,
 ჩუმი ტკივილების აცმა,
 მალე დამასრულებს ქარი,
 მალე დამთავრდება ჯვარცმა.

ხაბაროვსკის მხარე.

არ შეიძლება გაზაფხულმა არ აგამღეროს

ვარ ქარისაგან დარწეული ლერწამის ღერო,
 მოვა მწყემსი და გადამჭრიან ვიცი მუხლებში,
 არ შეიძლება გაზაფხულმა არ აგამღეროს,
 სიცოცხლის ძალა აფეთქდება თავად მუხებში.
 ხემ მოაფარა ჩიტის ბუდეს ფოთლის თითები,
 გადამდებია მზის ალერსით თავდავიწყება,
 ვით უდარდელი, ნაზამთრალი, ცელქი ჩიტები,
 არ აგამღეროს გაზაფხულმა არ შეიძლება.

1997

საით წავიდა?!

ისევ ვიგონებ ყრმობას თავიდან,
 ჭიქაში ჩარგულ მომაკვდავ იას,
 ნეტა ის ბიჭი საით წავიდა,
 სიყვარული რომ არ მაპატია?!

ნეტა მართლა მოჭიკჭიკე ჩიტი ვიყო!

ჩიტი გალობს, გათენება გადარია,
 ნეტა მოჭიკჭიკე ჩიტად რად არ ვიშვი?!
 მოალერსე გაზაფხულის სადარია,
 მეხვეწება: _შენს ოთახში შემომიშვი!
 სიმღერებით შენს ფანჯრებთან მოვიდოდი,
 მე რომ ახლა მოჭიკჭიკე ჩიტი ვიყო,
 მოქვითინე სიმღერები რად მინდოდა,
 შენი გულის კარი ღია რომ არ იყო.
 გაზაფხულის მახარობელს შევედრები,
 ავტირდები, შენს ოთახში შემომიშვი,
 შემიფარე შენს მღვიმეში გევედრები,
 მერე რა, თუ ჩიტად არა, ქალად ვიშვი.
 გაზაფხულდა, სიყვარულის ავდარია,
 ყვავილების ნიაღვარო არ გამრიყო,

ნეტა მართლა გალობაში გადამრია,
 ნეტა მართლა მოჭიკჭიკე ჩიტი ვიყო!
 1997წ

მიდი ჰკითხე

პაემანზე მოვდიოდი ათი წლის წინ,
 ხესთან შევდექე, ციცქნა იჭვმა გამაჩერა,
 ხეს გავანდე ჩემი სულის გასაჭირი,
 ხეს შევჩვივე, მიდი ჰკითხე თუ არ გჯერა.
 გავბრუნდი და სიყვარული გავიყოლე...
 მერე ლექსებს მუჭა-მუჭა ვურიგებდი,
 დაიქუხებეს, მეშინია რა ვიღონო,
 დამემხობა ზვავთა ველურ შურისგებით.
 მოვდიოდი, მაგრამ იჭვმა გამაჩერა,
 გაზაფხულმა ჩემი იჭვი დამაჯერა,
 ხეს გავანდე ჩემი სულის გასაჭირი,
 ხეს შევჩვივე, მიდი ჰკითხე თუ არ გჯერა!

ქალია თურმე

შენ დაგიძახებს გული ამ ლექსით,
 დაქანებული ბედის ბილიკზე,
 თავბრუს დაგახვევს თბილი ალერსით,
 დაქალებულა შემოდგომის მზე.
 იჭორავებენ ღრუბლები ჩემზე...
 ბევრი სიმართლე ჭორით იწყება,
 მწიფე ქალია შემოდგომის მზე,
 იცის ალერსით თავდავიწყება.

1997

სად...

სად სილამაზეს, სულთა, დევნიან

ფარჩა-ატლასი გადაფლასდება,
უპატოსნო სადაც ბევრია,
პატოსნება იქ დაფასდება.

ჩემი ხარ თუ ლეკისა

ჭიანჭველების ბუდეს თითი დაადეთ
და უთხარით: “ჩვენი ხარ თუ ლეკისა”
თუ ამოცოცდებიან, ჩვენებია, თუ არა და
ლეკისაა და გაანადგურეთ.
ბებიის ნამბობიდან.

მტერ-მოყვარის გამოცნობა ბავშვურად დამეკისრა,
მოვედი და გეკითხები: _ ჩვენი ხარ თუ ლეკისა?!
თოთო თითებს გიწოდებდი, ხეთა ღამურ ცეკვისას,
გული ჩუმად ჩურჩულებდა, ჩემი ხარ თუ ლეკისა?!
სალოცავად მიდიოდი, გზა ირჩიე მექისა,
მე სიყვარულს შევჩიოდი: ჩემი ხარ თუ ლეკისა.

1997

* * *

მარტო გნახე და გამიხარდა,
ჩემი გულის იდუმალო ბატონო,
უპატრონო საყდარი ხარ და
ემშაკივით უნდა დაგეპატრონო.

ენძელავ!

*ქ. კამსამოლსკის ქუჩაში
ვნახე დამზრალი ენძელა.*

ასე გაცრეცილი აქ რამ მოგიყვანა,
აქ სად გიძებნია ბედი?!
სხვა არაფერია, დაო, ეს ქვეყანა,
თოვლის და სიცივის მეტი.
დგახარ და კანკალებ თოვლზე ფეხშიშველი,

კაბას შემოახევ ქარებს,
 ღმერთმა დაგიფაროს, სხვა შენ ვინ გიშველის,
 აბა ვინ გაგიღებს კარებს?!
 მე შენმა დანახვამ ღიმილი მომფინა,
 ყოფილა ვიღაც ჩემდარი...
 ვაიმე, რა ჩემზე შეშლილი ყოფილხარ,
 რა ჩემზე სულელი ქალი!

1998

სოკო

მ-ს

გზის ნაპირას მოჭრილ მორზე
 სოკო იჯდა სიფრიფანა,
 ბილიკები მორიდებით
 გარს უვლიდნენ განდაგანა.
 ვერაფერი ვერ ვიღონე,
 სადედოფლოდ დამჯდარიყო,
 კოპწია და თავმომწონე,
 უცხო ზღაპრის სადარ-იყო.
 ღვთიურ სილამაზით უფრო
 აშინებდა მტერ-მოყვარეს,
 მარტო დარჩა სადედოფლო,
 ღირსი სწორი ვერ მოჰგვარეს.

მამის მონატრება

მამაძაღლო! _ მეფერები ძილში,
 მესიზმრები თურმე მამაჩემო,
 მავიწყდება უკვე ნელა-ნელა,
 მირონივით ძველი ღვინის გემო.
 ლექსი ვცადე, ვერ აყუჩებს ტკივილს,
 გამიჯიქდა, ჟანგიანი თოფი,
 დგას და იწვდის საკოცნელად ტუჩებს

შენი ქვევრის პირზე სველი დოქი.
ვიცი, დედას გზაზე რჩება თვალი,
გიობდებათ ჩემი წილი პური,
წევს მარანში მონატრებით მთვრალი,
ძველი ქვევრი – ცრემლებჩაკირული.
იმ შორეულ, იმ უღვინო მხარეს,
მომენატრა თვალჟუჟუნა ჭინკა,
ჩვენი ქვევრის პირზე შემომჯდარი,
საფერავით მოთხუპნული ჭიქა.
ხაბაროვსკის მხარე.

ფიცი

მიწას, რომელიც საკუთარი სისხლით აწებე,
აუკვდავებდა რუსთაველი, ვაჟა, ილია...
გლეჯენ და ხევენ ნაწილ-ნაწილ და იტაცებენ,
სულ ამაოა, საქართველო ვერ დაილია.
გეჭიდავება ამღვრეული ქორონიკონი,
და უნებურად უკვდავებას შენსას ქადაგებს,
შენ დაგეწამლოს გაცრეცილი ყველა სტრიქონი,
საიდუმლოდ რომ შეუნახავთ ქვაში ქარაგმებს.
არ დამელევა ლექსის ჟინი აღზევანამდე,
დამდუღებია სიყვარულის ძველი მარაგი,
დედაო ღვთისავ, უცხო ცისგან დამიფარავდე,
ქართულ მიწაში მინდა მერგოს ძვალთშესალაგი.
ხაბაროვსკის მხარე.

1998

ნუ მესვრით ტყვიას!

ტყვიებს ნუ ისვრით ახალწლის ღამეს,
უმისამართოდ ნუ ისვრით ტყვიას,
იმ ცას და მიწას დენთი აწამებს,
რომელსაც შენი მამული ჰქვია.

როს ყველა სახლის კარია ღია,
 იარაღს ებრძვის ყვავილის ღერი,
 არ ამოწყვიტოს უაზრო ტყვიამ,
 ჩემი ამაყი ჯიში და ერი.
 ჩუმიად მოვედი და ჩუმიად წავალ,
 ფიქრი ფურცლებზე ლექსად აწყვია,
 მე საქართველოს ნამძნობი ცა ვარ,
 ახალწლის ღამეს ნუ მესვრით ტყვიას.

1998

ვახტანგ მეექვსეს

ბედის მდინარე შუამდე
 განვვლე, გზა უკან არ იყო,
 ტიალმა ჩემი მიწიდან
 შენსავით უნდა გამრიყოს.
 სად მოგეწიო პაპილო,
 გულის ტკივილი გაგიყო,
 რუსი მეც კაცი მეგონა,
 ვიდრე არ ვნახე რა იყო!

ლექსად მოვედი

პრომეთეს ჯაჭვით საქართველოს მთებს გამოვები,
 არ მიძებნია სხვა ტომი და სხვა თემიონი,
 ლექსები იყვნენ ჩემი სულის მალამოები,
 ჩემი უძილო ღამეების გამთენიონნი.
 მე ლექსის მწერლად კი არა, თვით ლექსად მოვედი,
 თავდავიწყებას მიპირებდი განა დიონის?!
 მეჩოთირება, როგორ უნდა მერქვას პოეტი,
 ჯერ ხომ სველია ნაკვალევი გალაკტიონის.
 ეჭიდებიან უკვდავებას ბრიყვი და მუნჯი,
 ამდენ პოეტის ერთ მიწაზე ვერ დამტიონი,
 გახსოვთ, ზვავები ჩამოჰქროდა მთიდან ჭრელ ხურჯინს,

თბილისში გუშინ დადიოდა გალაკტიონი.
ნიჭით კი არა სიყვარულით დაგეთოვები,
რომ არ გატკინო მიწავ, გადახეხილი ქედი,
ლექსები იყვნენ ჩემი სულის მალამოები,
მეც მარტოოდენ ფარატინა ლექსად მოვედი.

1999

შენი სახატე დაფლეთილი გურჯისტანია

მეგი ჯავახიშვილს

ქ. კამსამოლსკში გაზრდილ გოგონას.

წლების გადმოდმა სულ სხვაგვარი თავგამოდებით,
”გაგვიყიდიან” ქალიშვილებს ალვისტანიანს,
შემოატარებთ დედამიწას ბედი გოდებით,
თავშესაფარი – დაფლეთილი გურჯისტანია,
გადარეულა სამყარო და მე მიკვირს შენი,
უსაქართველო წლები როგორ აგიტანია,
სხვა ქვეყნის ღრუბელს მანდილივით ვერ დაიმშვენებ,
შენი ადგილი დაგლეჯილი გურჯისტანია.
რამდენი ლოთი, მასხარა და ურჯულო ლოშნის,
დედის სიყვარულს, ტკივილი და დარდი სტანია,
არ ემდერებათ ბულბულებსაც საქართველოში,
შენი სახატე, მაინც შენი გურჯისტანია.

1999

სინდისის ძახილი

ჩაილევიან ფოთლებივით ჩვენი დღეები,
ჭეშმარიტებას გვაახლოვებს დღეთა ბრუნება,
ფერმკრთალდებიან მოგონილი სამოთხეები,
ანგრევს სამყაროს კაცთა დიდი უგუნურება.
შემოგვჩვევია განდიდების, ხალხო, მანია,
ნუ ეტყვი ვინმეს, თუნდ მათხოვარს, შენზე დიდი ვარ,
მაჯადაღლილი დედამიწა ნარკომანია,
შემოდგომური ფოთლებივით მხრებზე ვკიდივართ.

თავბრუს რად გახვევს ბედისწერის ცრუ კარუსელი,
 ხვალე უშენოდ იტრიალებს თავგამეტებით,
 კოსმოსურ წესრიგს არტერია გადაუსერე,
 ადამიანო, შენს მიწაზე რად ვერ ეტევი?!
 ახალ ასწლეულს დაავიწყდა ბევრი სახელი,
 ბევრჯერ დაღეჭეს მიწა ამა სოფლის მდგმურებმა,
 შენივ სინდისთან საკუთარი თავი ამხილე,
 როცა შეგზარავს კაცთა დიდი უგუნურება.

1999

ძვლებით მიყვარდი

დედიშობილა ნუშის ყვავილით
 მიწამ აივსო ნოტიო კალთა,
 არ ვიცი სად ხარ, სოფლებს დავივლი,
 და დაგიძახებ სუყველა კართან.
 იციან, რაღაც დაგვრჩა სათქმელი,
 და ფაციფუცით გარბიან წლები...
 ძნელი დაღმართი ნეტა სად მელის,
 ღრუბელო, როდის ჩამომეცლები?!
 ალბათ მრავალი ასე გოდებდა,
 მეც მრავალივით გარდავიცვლები.
 ... ვერა, ვერ გეტყვი რად გელოდება
 მიწაში ჩემი ყვითელი ძვლები.

1999

გულიც ბერდება

მოვა, ქარბუქის გზას გადაკეტავს
 და გაზაფხული მოგიყვანს ფერზე,
 როდის დასკდება ყინული ნეტა,
 მდინარეზე და გულის კედელზე.
 როდის შემოვა ჩვენი მერცხალი,
 გაგვიხალისებს ნაცრისფერ დილას,

გაზაფხული და იმედი ხვალის
 გაახარებენ ვიღაც სხვა ცირას.
 ბედის გამრიგე შერევილს გავდა,
 ვინც ჩვენი გზები ასე გათიშა,
 ვინც არ იცოდა, როგორ მიყვარდა,
 ვინაც შენს გულში არ დამპატიჟა.
 მელაციცება ვარსკვლავთა გუნდი,
 არ მაცლის ფერად სიზმარს მივინებდე,
 მო, სიხალისევე კვლავ დამიბრუნდი,
 მეც მინდა ვინმეს არ ვაძინებდე.
 გამოტოვებულ სიცოცხლეს ვტირი,
 როდესაც ქალაქს თოვლი აგიჟებს,
 მე არ ვიქნები მომქმედი პირი,
 მე ამ ზეიმზე არ დამპატიჟეს.
 ურჯულო ღამევე გამითენდები,
 ლეკვივით სულში შემოპარულო,
 არ დაიჯეროთ, გულიც ბერდება,
 უალერსოდ და უსიყვარულოდ.

ძალიან ძნელია იმ გულის მიგნება

მხოლოდ მამულის მზე დაგანაცრებს,
 სხვა მზე ჩაგიქრება,
 ერთი გაზაფხული აგამღერებს
 მეტი არ იქნება,
 მხოლოდ ერის ტკივილს ვერ გაუძლებ,
 მუხლზე დაეცემი,
 ათიათას ვალში, ვალს დედაშვილობის
 ვერსად გაექცევი.
 მხოლოდ სიყვარული აგამღერებს
 თუ ნაღდი იქნება,
 და თუ არ გეტკინა, ძალიან ძნელია
 იმ გულის მიგნება.

... და სიყვარულის სანელებელი
ნ.გ-ს

ცხელი ზაფხული მიილია, მზე თვალებს ნაბავს,
შემოეხევა შემოდგომას მუხლებზე კალთა,
შემოაცმევენ საქორწილოდ ოქროსფერ კაბას,
დააწყვილებენ ხისფეხება მეკობრე ქართან.
თავისუფალი ფიქრი ჩემი ვინ დაიჩემოს,
სეფექალივით ოცნებაა გულთა მხლებელი,
მეფური სადილ-ვახშამიც კი დაკარგავს გემოს,
თუკი აკლია სიყვარულის სანელებელი.
ატირებული ლექსი ზეცას გულ-მკერდს შეახლის,
იქ არ ვიქნები ულმობელი ბედის მგმობელი,
სადაც მექნება სიღარიბის ჩუმ დიასახლისს;
წყალი, პური და სიყვარულის სანელებელი.

2000

დაბრძენებულა შენი იდალგო

თუ დიდოსტატის მკლავიც დაშინდა,
ამ სამყაროზე ვინლა იდარდოს?!
ჩამოქვეითდა ქარის რაშიდან,
დაბრძენებულა ჩემი იდალგო.
უაზრო ღიმილს ვერ დავემალე...
შემიყვარდება ვიდრე სიზმარი,
მანამდე უნდა ავილო ხმალი,
თორემ ჩაჟანგდა სიკეთის კარი.
რაინდობანას არვინ აპირებს,
შეშლილის ბედი აღარ იდარდო,
არავინ ებრძვის ქარის წისქვილებს,
დაბრძენებულა შენი იდალგო.

2001

უნდა დაგპატიჟო?!

ჩიტი მეჭორავება და
 პასუხს მე არ მაცლის,
 ფანჯრის მიღმა ტოტზე ზის და
 ქარი ბუმბულს ვარცხნის.
 გამოვადებ სახლის კარებს,
 ფრინდი, შემოფრინდი,
 ეშინია, არ მენდობა,
 ეშმაკი და ფლიდი.
 სიყვარულიც ამ ჩიტით
 მივლის შორიახლო,
 უნდა მივწვდე, დავიჭირო,
 სულში შევისახლო.
 გარე-გარე რაღას მივლი,
 დაბადებით გიჟო,
 გულის კარი ღიაა და
 უნდა დაგპატიჟო?!

2001

არ ამიკრძალო

დაბადებიდან სითბოს ველოდი,
 მე მარტოდენ გრიგალი მეძმო,
 ქალი ვიყავი, განა ქვის ლოდი,
 გულგრილობისთვის როგორ გამეძლო.
 მზეს აღარ მივცემ ამბორის ნებას,
 ქარიც გულსგარეთ მომეფერება,
 არ ამიკრძალო შენზე ოცნება,
 ეს ერთი ციდა ბედნიერება.

2001

გვესიზმრე თამარ

ქოშისგორაზე გადადიან საუკუნენი,
 დავიწყებით დედა მთების დანაბარები,

დგას მწუხარება სატახტოში განუკურნელი,
 იყიდებიან მუჭა-მუჭა შენი ქალები.
 გვესიზმრე თამარ, სამშობლოსთვის ღამენათევი,
 ვიღაც დაეძებს ვარძიაში თბილ ნატერფალებს,
 შეუცვეთიათ ამბორყოფით კაბის კალთები,
 რაინდებივით შენს მუხლებთან დაჩოქილ ფარებს.
 მიმოფანტულან ღრუბლებივით გზააშლილები,
 ცრემლი წაიღეს მშობლიური სოფლის მდელოთა,
 ატირდებიან უსამშობლო შენი შვილები,
 განძეულივით გაზიდული საქართველოდან.
 შეერკინება ამ გრიგალებს ერთი სანთელი,
 ვით სასოება, ვით ქართული ასო მთავარი,
 თამარ მნათობო, სამშობლოსთვის ღამენათევი,
 დაგვესიზმრე და მიგვასწავლე ერის სავალი.

2001

* * *

მენატრება აფხაზეთი, ჩემი ტკბილი ძიძა,
 მამელუქად გაიტაცეს, ღმერთო შენი მიწა.
 მოზარე ვარ და მეცლება სული ცრემლის ბროლად,
 გადამთიელს რად დაუთმე შენი ნაზიბროლა?!
 სიყვარულით მიწნული და სათაყვანო ფაცხა,
 ეშმაკებმა დაიჩემეს, ვაჟკაცობა დაცხრა.
 გაღელილი მთის მკერდიდან ამობოლდა ნისლი,
 ვინ წაიცხო მარჯვენაზე ჩემი ხვიჩას სისხლი?!
 ნასხვისარი აღარ მინდა ძიძის ტკბილი ძუძუ,
 ნანა, შენ ვინ გიპატრონებს მოხუცსა და უძლურს?!
 ქალიშვილი წამოგესწრო, უთვალთვალებს ჩარჩი,
 სად მიდიხარ სანადიროდ, ჯიმა ყუდეს დარჩი.
 ჯოჯოხეთის კარიბჭესთან ვერაფერი იხსნის,
 ვინც წაიცხო მარჯვენაზე ჩვენი ხვიჩას სისხლი.
 ვის უგალობს მკერდმოჭრილი ჩემი ტკბილი ძიძა,
 მამელუქად გაყიდული საქართველოს მიწა!

ჯიმა-ძმა(მეგრ)
 ყუდე-სახლი(მეგრ)

ჰყვავის ალუბალი

შეერთა, ყვავილები თმებზე დამაცვივდა,
 თავზეხელალებით ყვავის ალუბალი,
 ცნობისმოყვარეა, როგორ ჩამაცვივდა,
 როგორ უხარია შენზე საუბარი!
 მინდა დავუმალო ქარს ერთი სახელი,
 მომდევს სისინით და... ვითომ სინანულით,
 ვიცი, ყვავილები მაინც გამამხელენ,
 თავბრუდახვეულნი მზის იავნანურით.
 ბუჩქებში სლუკუნებს წყარო თვალებსველი,
 თავზეხელალებით ყვავის ალუბალი...
 ყანას გადმოივლის სიო ფეხშიშველი,
 მასაც უხარია შენზე საუბარი.

2001

მიტხარი თვალებით

ბინდისას ვინ შემოგეყარა,
 მწვერვალო, გულჩამონაშალო?!
 გატეხილ გულების ქვეყანა
 მე უნდა გასწავლო ვაჟაო.
 ვარდიც ამოსულა ეკლიდან,
 სირცხვილით ეწვება ღაწვები,
 ხომ ერთი უბრალო ნეკნი ვარ,
 გამთელე, შენთან თუ დავწვები.
 ვეფხვი ვარ, ქალივით გენაზე,
 არ შეცდე, არ შემებრალები,
 იფიქრე ირმების ენაზე,
 გიყვარვარ?! _ მიტხარი... თვალებით.

2001

წარმართი გავხდი

როს სათნოებით სული ავივსე,
 ქაჯივით დამხვდი ტაძრის კარებთან,
 დაგინახე და გიცანი მყისვე,
 დინჯი, ამაყი და უკარება.
 მოგონებები კაბებს იცვლიან,
 იმედი გულში ღამეებს ათევს,
 თუ სიყვარული არ შემძლია,
 თუ წარმართი ვარ, რად ვანთებ სანთელს?!
 ცოდვილი სული ლოცვით ავივსე,
 შენ კი ქაჯივით ტაძართან დამხვდი,
 დაგინახე და შევცოდე ისევ,
 გაგაღმერთე და... წარმართი გავხდი.

2001

მაშინ მოსული სიკვდილი მომკლავს

თავს შევაფარებ ღამეს ჟინიანს,
 და ვარსკვლავების ცეცხლოვან ფარას,
 თვით სიკვდილისაც არ მეშინია,
 თუ ამ ტკივილებს გადამიფარავს.
 ყალბი იმედი მზესავით მენტო,
 ებრძოდა სულში ნისლების როკვას,
 როცა სულერთი ვიქნები შენთვის,
 მაშინ მოსული სიკვდილი მომკლავს.

ნისლი ვარ

სიო მასწავლის ქარის კილოკავს,
 ნისლი ვარ, გზაზე გადაგეყრები,
 მოვალ და მჟავე ცრემლს აგილოკავ,
 შემამენძავენ კალთებს ეკლები.
 მეგულეობდე სითბოულევი,

ცივი ხელებით ნუ შემეხები,
 თორემ წავალ და ნაკადულივით,
 ტირილით ხევში ჩავიჩეხები.

ენძელა

თოვლზე მიტომ მოვდივარ
 გაზაფხული გახარო...
 ჩემი შეხება გინდა?
 თავი უნდა დახარო!
 განა სათაკილოა?!
 გაზაფხული მოდის წვიმის რაშით
 და კვირტების გაღიმებას ლოცავს,
 კობტა გოგო გააჩერა გზაში,
 დაუშალა კარგი ბიჭის კოცნა.
 ლექსი მიყვარს წმინდა, ერთი ციდა,
 სულ არ მინდა ვინმე გავაკვირო...
 კარგი ბიჭის მოფერება მინდა
 რა იპოვეთ ხალხო სათაკილო?!

2001

ღამის წიაღში

ამეკვიატა აღმოსავლური, გრძელი ზამთარი,
 სულს მიხუთავდა დავიწყება და მშრალი თოვლი,
 და მორყეული, სიყვარულის შხამით დამთვრალი,
 არტერიების მდინარეში გული დავტოვე.
 ვერვის ავუხსენი; როგორ მცევა და როგორ მიჭირს,
 მოდიდან გასულ კაბასავით შემრჩა სინაზე...
 და უსახური ფიგურები ბავშვური იჭვის,
 ზამთრისმდევეები, მოსხდებიან ფანჯრის მინაზე.
 წამოენთებით ვარსკვლავები ღამის წიაღში,
 და მონატრება მე ლექსებად წამომამბოდებს,
 შემეფეთება დანადმული მზით განთიადი,

და გაწყვეტილი სიზმარით თავს შემაცოდებს.
 მერე თენდება და სკებივით ყურისწამლებად,
 აზუზუნდება დედამიწის ამაოება,
 მოსალოდნელი სიმშობისგან გადასარჩენად
 მუშა ფუტკარი ჭაპანწყვეტით თქორს ეზიდება.
 მოიძარაგებს თაფლს და ოქროს ვინმე მავანი,
 ვიღაცა დამშეული სულით ლოკავს ოცნებას,
 იჭიდავებენ მარადიული და წარმავალი,
 თეთრი და შავი, გარყვნილება _ პატიოსნება.
 გადაგიგლოვებ და დაცხრება სისხლის მორევი,
 გულს დაკარგული გემივით რომ აზანზარებდა,
 შევებიზნები უკან ღამეს, ბედის მომრევი,
 და სიზმრებიდან გაფხიზლება დამეზარება.

2001

თოვლი

ღამეა, დავიღალე,
 გავებუტები ლოდინს,
 გამოიდარებს მალე,
 გამოიდარებს, როდის?
 გარინდებულა ღამე,
 წევს შეცდენილი თოვლი,
 მოეპარება თვალებს
 დილა, შორი გზის მოვლით.
 ქარი ტიროდა წუხელ,
 გზასაცდენილი ქალი,
 თოვლმა წაშალა უკვე,
 ყველა საეჭვო კვალი.
 გადალესილა მოლი,
 ახლოს არ მიეკარო,
 გაგცემს უვალი თოვლი,
 გზასაცდენილო ქარო.

2001

ქარი ვიყო!

გამბედავი ქარი ვიყო,
 ქვეყანას გავაოცებ,
 მოვალ შენთან როცა მინდა,
 როცა მინდა გაკოცებ.
 ბნელ ღამეში, სადაც მინდა
 წავალ სახეტილოდ,
 თავთავები წაწლებივით
 უნდა ვაკოტრილო.
 ფანჯარაზე გიკაკუნო,
 ღამე გაგატეხინო,
 სიზმარშიც არ მოგასვენო,
 ბიჭო გულგატეხილო.
 როგორ მინდა ქარი ვიყო,
 ქვეყანას გავაოცებ,
 მოვალ შენთან როცა მინდა,
 როცა მინდა გაკოცებ!

ვიწამე

წვიმასავით მოგეპარე,
 ზეცა შენ და მიწა-მე,
 დამარცხებულ სიყვარულის
 უკვდავება ვიწამე.
 სიჭაბუკე განა მზეა,
 მოგაკითხოს დილაზე,
 ახლა უნდა გავლამაზდე
 ერთი ქალის ჯინაზე!
 სიყვარული განა ხეა,
 ყოველ ზაფხულს ამწვანდეს,
 ცეცხლი სადმე გინახია,
 ათბობდეს და არ წვავდეს?!
 სიმარტოვის სარეცელზე

ტკივილები მიწვა მე,
დამარცხებულ სიყვარულის
უკვდავება ვიწამე.

2001

ლექსი მწყურია

მამულში ოფლი ჩამიწურია,
ულელში მედგნენ ლაბა და შვინდა...
შორს გადაკარგულს ლექსი მწყურია,
ქართული ენის ეშხი მომშივდა.
არ დამიწუნო ღარიბი ოდა,
მოფრინდი, სადაც ჩემი მთებია,
რა უსაშველოდ დიდხანს მტკიოდა,
ლექსი, შენგან რომ დამზადებია.
გადავიღებავ თმებს ფერა-ფერად.
დღეს ყველა ქალზე უფრო ქალი ვარ...
თუ ვინმემ მიწა გადამიბელა,
იცოდეს ხმალთან ნაწაწლარი ვარ!
დაუხარჯავი ჩემი სულია,
თქვენში მერცხალი თუ აჟივჟივდა,
მთის წყაროსავით ლექსი მწყურია
და მშობლიური მიწა მომშივდა.

ხაბაროვსკის მხარე.

გაზაფხული ჩემს ქუჩაზეც მოვა

ქარიც ქრება, შემოდგომაც ქრება,
გარდაცვლილთა დგას ფოთოლთა გროვა,
შეეშლება ერთხელაც იქნება;
გაზაფხული ჩემს ქუჩაზეც მოვა.
ბავშვობაში მაპოვნინა გული,
პრომეთეს თუ ამირანის მითმა,
შევიფარე ლექსში, დაცვარული,

ენის შტოზე მოკრეფილი რითმა.
 განზე დავრჩი პოეზიის ზეიმს,
 რად მინდოდა დიდება და ქება?!
 გულგრილობით განათელი, ჩემი
 გული მოკვდეს, ლექსი არა კვდება.
 ვნახე ქართა საიდუმლო კრება,
 არ მაჩვენა უგულოთა გლოვა!
 შეეშლება ერთხელაც იქნება,
 გაზაფხული ჩემს ქუჩაზეც მოვა.

2001

დასრულდა არია

არაფერს არა გთხოვ, არაფერს არ ველი,
 დამეხრჩო თვალები, ცრემლშემობურვილი,
 რად უნდა შემეცნო ამდენი ტკივილი?!
 დამღალე, წამართვი სიცოცხლის სურვილი.
 ოცნება გრიგალებს ნეტა რად მივანდე?!
 ან ქარში ვინ უკრავს მორყეულ მინებზე;
 შუბერტი, შოპენი, ნეტარი ვივალდი...
 რომ დაიძინებდე, რომ სიკვდილს მინებდე.
 ცხოვრება ომია, დოღია, მარულა,
 შენში მდუმარებამ რად დაისადგურა?!
 მიყვარდე, გელოდე, ვტიროდე მალულად,
 ამო იმედი ვინ გაანადგურა?!
 სწრაფობენ წამები, წალეკონ ყოველი,
 მიწაზე ანდერძებს მიწერენ წვიმები,
 წრფელ ამბორს ნუ მიწყენ, მე აღარ მოველი,
 დამცინის ვარსკვლავი ანაციმციმები.
 თურმე სიყვარული მარტივი ქალია,
 ეპოქა რთულია და არა სცალია,
 სიცოცხლე სესხია, სიკვდილი ვალია,
 განათდა დარბაზი, დასრულდა არია.

2002

ნატურმორტი _ შემოდგომა

მოგეძალება შემოდგომა სავსე ქალივით
 და ფოთლებიდან შემოგცინის მსუყე ცდუნება,
 მზემ შეახოცა ყვითელ ფერდობს, ცრემლი მალივი,
 შეყვარებული ნაკადულის ადუდუნება.
 დაშაშრულ ხელებს ჩამოსწყდება ჩუმი ფოთოლი,
 შეცივუნულმა ხემ გაისტუმრა ბოლო ბარათი,
 ქალწულებრივად გულუბრყვილო შემოვა თოვლი,
 დაიქანცება ზამთრის ქართა ხათაბალათი.
 სიომ ხეჭეჭურს შეაწყვიტა სიმორცხვის ღილი,
 ვნებაშემქნარი, სიცხიანი დღენი გავლიეთ,
 მზით დაქანცული, აღვირახსნილ ქარით დაღლილი,
 წევს ხის მკლავებზე შემოდგომა შიშველ ქალივით.

2001

შენზე ოცნება შენზე კარგია

მე მარტოობის ღამეებს ვანდე,
 შენზე ოცნება, შენზე კარგია,
 ჩემთან დარჩება გათენებამდე,
 ლექსად ამანთებს, სხვა რას მარგია?!
 დატოვე ჩემი უდაბნო, წადი,
 მირაჟი იყო ის თეთრი რაში,
 ღვინოში დარდის ჩახრჩობა ვცადე,
 თვითონ დამახრჩო დარდმა ჭიქაში.
 გაზაფხულდება, წლები გარბიან,
 მიდამოც ისევ შეიფარჩება...
 შენზე ოცნება _ შენზე კარგია,
 დავუძახებ და... ჩემთან გაჩნდება.

2002

უკანასკნელი დონ-კიხოტი ვარ

გამოგიგზავნე სულ ერთი ია,
 ისიც გაზაფხულს ჩააკვდა ხელში,
 მერე იმედმაც სული დალია,
 ჭირისუფლობის ფარულ ნაღველში.
 უაზრო ბრძოლით შენსკენ მოვდივარ,
 ვეჭიდავები გულს განუკურნელს,
 მე შენი ციხის ერთი ლოდი ვარ,
 ველარ გავუძლებ ამ საუკუნეს.
 ბედო, ლაწვივით დაგიხოკივარ,
 მაგრამ ზეიმი მოგსვლია ადრე...
 უკანასკნელი დონ-კიხოტი ვარ,
 ქარის წისქვილი გადარჩა სადმე?!

2002

ვერა ვხედავ

ამ ცივ ღამეს თვალს მიკრავენ ვარსკვლავები,
 მზე სარკმელში მივარდება უთენია,
 ეცოტავა მოსაჭდობი მხარ-მკლავები,
 უჩემობა მუხას ვერ მოუთმენია.
 ქარმა თმებზე მოფერება გამიბედა,
 ყურძენს სიტკბო ენატრება ჩემი ბაგის,
 საიდუმლოს გაგიმხელდი; ვერა ვხედავ,
 თუ შენს მეტი ქვეყანაზე ვინმე დადის.

2002

ფიქრო

გადითქარუნა შუბლები, გადამიძოვა ოცნება,
 იცოდე დაგეუბრები, გიგანებს პატიოსნება.
 ფიქრო, შე არგასაქრობო, სად გამირბიხარ ნასეტყვი,
 ერთმანეთს მოვეალერსოთ, სიყვარულისას რას მეტყვი?!
 ქვეყანა ცვალებადია, გამითელავენ სამყაროს,
 რა ვქნა, რა ყველას სწაღია, რომ ჩვენ ერთმანეთს გაგვყაროს.

2002

ღრუბელი

გათენებულა ქორწილის ღამე
 ტანზე რად შერჩა თეთრი სამოსი?
 სული ალერსით ვერ დაუამე,
 ვის უნდა შეხვდეს ამ საღამოზე?!
 თვალცრემლიანი დადის ხრიოვზე
 ჭექა-ქუხილი ეპოტინება...
 ვცადე, იჭვი ვერ აგიწიოკე,
 მზეო ადექი, რად გეძინება?!
 თვალი რჩებოდა შენს პატარძალზე
 და გაუკაწრა მეხმა იარა,
 ღრუბელი კვნესით შემოწვა მთაზე,
 ჟუჟუნა წვიმა იმშობიარა.

2002

სიჩუმე _ რაოდენს უბნობდა თვალებით.

ქარო, ფოთოლივით საით გამიტაცე?!
 უაზრო ფორიაქს ველარ გავუძელი,
 მოვა შემოდგომა, დინჯი ბერიკაცი,
 და გარდაიცვლება ღვინოში ყურძენი.
 შენია, არავინ არ შეგეცილება,
 სითბოზე კვირტივით გადახსნილ იარებს,
 ჩემზე ეცინება და სიცილით კვდება
 ვაზი, გაზაფხულის ცრემლებმსხმოიარე.
 თავი შეიცანი _ გრიგალი გოდებდა,
 გვესება წუხილით ქალწული ფურცელი,
 თავზე დამწიოდა და მომიწოდებდა;
 ამბოხდი, გეყოფა რასაც გაუძელი!
 თავადაც არ ვიცი რა მაუცნაურებს,
 ცრუ ორატორობით რატომ მაწვალეზდით?!
 სიმშვიდე _ რაოდენ ამკობდა აურებს,
 სიჩუმე _ რაოდენს უბნობდა თვალებით!

2002

სად იწერება ლექსი?!

*“ზოგიერთი ქალბატონი უადგილო
ადგილას წერს ლექსებს” – დამცინა ზ.ფ-მ.*

როცა ვაჟა მუხლის თავზე წერდა,
ბექზე ეჯდა ჭვარტლიანი ღამე,
აბორგებდა საქართველოს ელდა,
ბედისწერა კი... უთვლიდა წამებს.
კოჭლი ბიჭი უკვდავებს წერდა,
განჯის გზაზე, უნაგირზე მჯდარი,
სხვის დედოფალს დაუსველა ბედი,
გააყოლა ცრემლის ნიავეპარი.
სარეცელზე დაცრეცილმა ლადომ,
გააფხავა ლექსი გულის პირზე,
ნაომარი ბედი ქარებს ანდო,
სველ ფარაჯას აფარებდა მირზა.
ჩაგვახედე სულის ანარეკლში,
თუ ბიჭი ხარ, ადექი და წერე,
ჰარამხანაგამოვლილი ლექსი
ქალწულად რომ ჩაგბარდება მერე!

2002

საქართველო გადაშლილი წიგნია

ქაოსიდან ვიდრე ნათელს იქმნიდა,
ირყეოდა მყუდროება ტაძრული,
საქართველო გადაშლილი წიგნი და
ვენახები სტრიქონებად ჩაწნული.
წიგნი მქონდა მოხატული იეზიტ,
გარეკანი მისი, ორი ზღვა იყო,
დაქანცული სილამაზის ძიებით,
ვინც შეეხო, ფურცელ-ფურცელ წაიღო.
დაგიზრდია შვილები, დარდი-მანდი,

ვისლა ახსოვს “საქმენი საგმირონი”,
 თუ ციხეში ცოცხლად არ ჩამატანდი
 რად მაწოვე შენი ძუძუს მირონი?!
 ჩემი წიქარა გამოუშიგნიათ,
 მე კი ვდგევარ და საშველად ვეძახი,
 საქართველო დაგლეჯილი წიგნია,
 სტრიქონები _ აჩეხილი ვენახი.
 ხელს გადავხვევ, ვაზებს ჩავერიგები,
 ვიცი, ძაღლის ერთგულება უცვლელი,
 მიტირია ნაჯიჯგნი თარიღები,
 მიძებნია ახეული ფურცელი.
 შემაშველე ამ გაცრეცილ მთა-გორებს,
 გაზაფხულის ერთი დილა ვიქნები,
 ჩემი ქვეყნის უბედობას მაგონებს...
 ეტრატები, დაფლეთილი წიგნები.
 ძმადნაფიცმა ხმალი გადმოგიქნია,
 შეგიშფოთა ძველი ქორონიკონი...
 საქართველო გადამლილი წიგნია,
 ჩვენ შვილები თითო-თითო სტრიქონი.

2002

საიდუმლო მესოსტიქი

მთვარემ ალვას ხელი
 თმებში შეუცურა,
 და შესვა ნაღველი
 ვით ნაკლული სურა.
 შენი გამახსენა
 თმები ქარიშხალმა,
 ისევ ნაფერები
 მენატრება ალვა.
 შენთვის ამღერდება
 ანთებული სული,
 იმედი ჩამწვარა,

მიქრება წარსული.
 როგორ მეტირები,
 დავიდალე ნუში,
 სულმა, დადალულმა,
 მოიწყინა გუშინ.
 ნეტა ახლა მომცა
 გული ჩიტბატონის,
 გქონდა შენი ზეცა,
 მერე დაგილონეს.
 გაგეყინა?! ნისლი,
 ახლა მოვა წვიმა,
 ქარში ერთი ბარტყი
 წივის პაწაწინა.
 ცრემლი დაეხედა
 ერთი იყო რადგან,
 წვეთი დაგეძებდა,
 გაიხსენე კარგად.
 რწმენა გიდგამს კარავს,
 მოიგონე, წერდე.
 ღმერთი დაგიფარავს,
 მენდე.
 მთვარემ ღრუბელს ხელი
 თმებში შეუცურა,
 ნელა მათრობელა
 შეგაპარა სურა.
 ვერცხლი დაიფანტა,
 ვეღარ აგიმძივებ,
 გაგახარებს განა
 დაბრუნება ცივი?!
 მერცხლის ატირებას
 მე რად შემომჩივი.
 რა ვუშველო, აბა,
 უნდა ვეაღერსო?!
 მეთქვა შენთვის მსურდა,

სიყვარულის ფესვო,
 გარდა სილამაზის
 მარტო გული კმარა.
 რატომ მოგეწყინა
 დარჩი ცის ამარა,
 სიჭაბუკის მიღმა
 კართან?! ღამე მდგარა.

ლოდი

გახსოვს მობუზული მთები...
 ქარი, ზენაი თუ ქვენა?!..
 გულზე დასადები ქვები,
 კუბოზე ვარდების ცვენა.
 აკოცა გაყინულ ტუჩებს,
 მარტო დარჩენილმა ქმარმა,
 ტკივილს როგორ გააყუჩებს
 კმარა, მზის ამბორი, კმარა!
 წაატივტივებენ ცხედარს,
 წახვალ დარდიანი, ვხვდები,
 გულხელდაკრეფილნი სხედან,
 ცივი მარმარილოს ქვები.
 ცას ეს განშორებაც ბზარავს,
 ნუთუ ყველაფერი ქრება?!
 ართობს ყვავილების ფარას,
 კეთილ ანგელოზთა კრება.
 მალე ჩვენც არსაით წავალთ
 და მარადისობა მოდის...
 გულზე დასადები ქვა და
 ლოდინით დაღლილი ლოდი.

2002

განმეორება
დიკი რიმნისთაველს

ნაიარევზე სასოდ ფენილი,
 დაბერებულან ძველი მიზნები,
 და შენს თაობას ჩამორჩენილი
 ახალგაზრდობას შეეხიზნები.
 წაირეცხება სულის ლაქები,
 აბობოქრებულ ლექსის ტალღებით,
 შემოგხვდებიან სხვა ქალაქები,
 ქვის უდაბნოში დაგვეკარგები.
 დალილ ოცნებას თავშესაფარი
 არ უძებნია_ოაზისები,
 და სიყვარულზე ლოცვად მიმქრალი,
 მამდარი ლექსით გაისრისები.
 ნაიარევზე სასოდ ფენილი,
 მიულწვეველი დაგრჩა მიზნები,
 და შენც სიბერეს ჩამორჩენილი
 ახალგაზრდობას შეეხიზნები.

2002

სკამს ნუ დამითმობთ

ბეზიას სკივრში წლები ჩავკეცე,
 ხსოვნას გამოხრავს მღელვარე წამი...
 გზაში მე თვალებს აღარ ვაცეცებ;
 ვინმე ხანდაზმულს დავუთმო სკამი.
 ასაკს ნუ მკითხავთ, დედაშვილობას,
 ზაფხულმა სული ისე გამითბო!
 ახალგაზრდებო უხმეთ ზრდილობას,
 სკამს ნუ დამითმობთ!

ქ. კამსამოლსკი

რა ეშველება უნახავ სიზმარს?!

ფოთლებს აუწვავთ მთათა ფერდები,
 თმებიც ოქროსფრად გადაუღებეს,

შენზე ოცნებას შევაბერდები;
 კოკისპირულას, გადაუღებელს.
 მასწავლე ღამის ცრემლით სველება,
 ჩემი ღიმილის ეშხიც შენა ხარ...
 ნეტა იმ სიზმარს რა ეშველება,
 ერთ ბალიშზე რომ უნდა გვენახა?!

ნუ ეურჩები

ვიცი, გაზაფხულს გაეურჩები,
 მაგრამ არ გისმენს გული თავნება,
 ააზიმზიმა ხალხით ქუჩები,
 მო, ხეტიალი ჩვენც არ გვავენებდა
 დამიკოცნიან მზით დამწვარ ღაწვებს,
 ქარები სხვამ ვინ მოიგერია,
 (ვიღაც მოწამლეს, მოკლეს ან დაწვეს,
 სახიფათოა გიჟი გენია!)
 შემოგეყრება ფარფატა სიო,
 ოხვრით და კვნესით ადიდებული,
 დამწვი და გული არ გამიციო,
 სიყვარულის ცეცხლწაკიდებული.
 ოღონდ გაზაფხულს ნუ ეურჩები,
 მოდის ყვავილთა ნელი დინება...
 ეგ მშრალი, ატმისფერი ტუჩები,
 ჩამაკბეჩინე, არ გეტკინება.

2003

არ დაიჯერებ

მთვარეული და ღამენათევი
 შემოქმედები სულებს ხედნიან,
 ლექსად იღვრება ყველა ქართველი,
 პოეტობა კი... ერთის ხვედრია.
 ერთ გულს იმედად მინდა ავენთო,

არც მიძებნია სხვა სილამაზე,
 რად მომისაჯე წრიალი ღმერთო,
 ლექსით დანადმულ უიღბლო გზაზე?!
 ვერ გავინათე ღამე სულის წვით,
 მე ჩემი წილი ჯვარი მელოდა,
 ვიცი, დამსჯიან სიყვარულისთვის,
 გამასახლებენ საქართველოდან.
 მაინც მოვალ და გეტყვი: _ მიყვარდა,
 მთაო, ეგ შენი შუბლის ღარები,
 გადაიწიე ნისლების ფარდა,
 გადაივარცხნე გრძელი ღვარები.
 არ დაიჯერებ; ან ლექსად მოვალ,
 ან სადმე მუხად აგეტუზები,
 მრისხანე ტოტებს, რითმებად მთოვარს,
 შემალეწავენ შლეგი მუზები.
 მთებს შემოდგომა დააყაჩაღებს,
 ლეკის ნაბდისფრად ღამე დაეშვა,
 ცა ვარსკვლავების კანდელს აჩაღებს,
 მე ვრითმავ ჩემი გულის კაემანს.
 ჩუმად ავანთე ერთი სანთელი,
 დიდების სენი არ შემხვედრია,
 ლექსად იღვრება ყველა ქართველი,
 პოეტობა კი ... ერთის ხვედრია.

2002წ

შემოდით სახლში

მოეწყინება მატყუარა მზესთან თამაში,
 საღამოს ზეცა ნაღვლიანად მოიღუშება,
 არ გამიცვიდეთ, თავშიშველნი დგახართ წვიმაში,
 შემოდით სახლში თეთრო ნუშებო.

2002

მხატვარი და მისი სული
ზაურ გაბესკირიას

ამ ცას ფერები ვინ ამყოფინა,
ვინ გამოფინა სულის სხეული,
თურმე რამხელა განძი ყოფილა;
თბილისი _ მტკვარზე გადამსხვრეული.
ამეტყველდება მოლბერტი მუნჯი,
ფერთა აღმურით როს აენტები...
მოგიხატია ცვრიანი ფუნჯით,
ნამტირალევი მამულის მთები.
მტერს სამიზნედან ვერც შეეშლები,
სულით მაღალო, ტყვიას თვით უხმობ,
ირმის ბლავილად მთიდან ეშვები,
მძინარ მამულში რომ დაიქუხო.
ყველაზე მეტად მაგონებ ვაჟას,
მო, გამიღვიძე ერისკაცები,
სულსაც მოგთხოვენ, წაგჭრიან მაჯას,
და ფერებადაც დაგიტაცებენ.
ვინ დააჩოქებს ლექსის კაპიტანს,
იბარბაცებენ მთები, ქედები,
და ბრძოლის ჟინი როცა აგვიტანს
ქუდზე ორ კაცად გვეიმედები!

2002

გამომიცვალე ტკივილი ძველი

თბილისში თოვლი მოსულა და წავა უჩემოდ,
ვარაზისხევი ენძელებით დაიფერება,
დადლილი გული სიყვარულში გამეურჩება,
გაჯიუტებულს შორს ჩაუვლის ბედნიერება.
გაზაფხულამდე ჯერ შორია, მაშ რამ აგრია,
გულო დადუმდი, დაჯექი და ცრემლი გალექსე,

მიღატეხილი გაჰყე ქუჩას დილაადრიან,
 შორი გზებიდან საქართველოს მოეალერსე.
 თბილისში თოვლი მოსულა და მე არ ვიცოდი,
 დამაწანწალებს რადგან ასე, ბედი მქანცველი,
 დაე, ვიწვოდე, ოღონდ ხელი გამომიწოდე,
 გამომიცვალე გაზაფხულო ტკივილი ძველი.

2003

ვაიმე დედავ!

მეც მინდა გითხრა ჩემი სიტყვა და ვერა ვბედავ,
 ან ვის უთქვია შენი ღირსი რაიმე დედავ,
 თავად ლექსია ტკივილისას რომ წამოგცდება,
 ყველაზე დიდი წამალივით; _ ვაიმე დედავ!
 როგორ წაგაცხო წლებზე ჩემი ლექსით მალამო,
 როგორ გავბედო, მოგეფერო, მოგეფოფინო,
 უძლური იყო თვით რუსთველის ოქროს კალამი;
 დედაშვილობას მან გენია ვერ ამყოფინა.
 მე დამეფანტა სიჭაბუკე ყალბი ძიებით,
 ვერ ვიმყოფინე მამის ქოხი დარდით ნალესი,
 რადგან ვიცოდი, რომ ყველაფერს მაპატიებდი,
 ლექსი კი არა ვერ მოვასწარი შენი ალერსი.
 ხსოვნა დარჩება სურათივით მტვრიან თაროზე,
 იფანტებიან წიწილები უსახურ დროში,
 შეუღლიტინებთ როცა მარღვში ლოთი ეროსი,
 გაგიხსენებენ მარტო დედის სადღეგრძელოში.
 ზამთარმოხდილი ხეებივით რწმენას დარაზმავს,
 დედის თვალები გაზაფხულის თანაზიარი,
 უთხარი ყველა მზეთუნახავს, ყველა ლამაზმანს,
 რომ დედაშენი ყველა ქალზე ლამაზი არი.
 მეც მიფიქრია და ვერ ვუმხელ ფურცლებს _მეგობრებს,
 ამ გაოცებას რახანია გულში ვმალავდი,
 მე რომ ყველაზე ძლიერი და დიდი მეგონე,
 რა იყო დედავ, ასე როგორ დაპატარავდი!

გავირინდები და დუმბილში დღეები ცვდება,
 სიყვარულია დამნაშავე თუ რამეს ვბედავ...
 თავად ლექსია ტკივილისას რომ წამოგცდება,
 ყველაზე დიდი წამალივით _ ვაიმე დედავ!

2003

უსასრულობა

მკლავებზე უწევთ თებერვალი შიშველ ენძელებს,
 და მთელი ღამე ცხარე ცრემლით ტირის ელია,
 ძილგატეხილი პოეტები სითბოს ეძებენ,
 გაზაფხულივით სავსე სულებს ლექსად წველიან.
 საით გავექცე აღვირახსნილ უიმედობას,
 ცრემლთა ნიაღვრებს დედამიწა წაუღევია,
 რამდენი სული ენამრავალ ეშმას ენდობა
 და ფეხშიშველი მიუყვება გზას ნარეკლიანს.
 სიკვდილ-სიცოცხლის მიღმა ვდგავარ გაოგნებული;
 საით წასულა გაზაფხულო შენი მშვენიება?!
 სად შეისვენებს, მოქანცულა სული, ვნებული,
 ნახშირისფერი მზე როს მთებზე მიესვენება.
 თუ სიკვდილია, მინდა მოკვდე გოლგოთის გზაზე,
 როგორ გამიგებს უსუსური კაცთა გონება,
 მოოქროვილი მონარქია ვით მოიაზრებს,
 თუ სიამაყე ტახტებს რატომ არ ემონება.
 ცვდება თაობა, საუკუნეც, ერთი წელია,
 გარდუვალია ბედის წიგნში რაც გიწერია...
 შიშველ ენძელებს გაზაფხული უწევთ მკლავებზე
 და პოეტები მწიფე სულებს ლექსად წველიან.

2003

შემოძახება

მაია რაზმაძეს

მოგაგონდება “инагда”,
 ჩვენებური ძველი ღვინო,

ყელი ხომ არ დაგიჟანგდა,
 გრიშაშვილის შვილობილო?!
 დუდუკის ხმა აღარ გათრობს,
 მოჭიკჭიკე ალიონო,
 არ იფიქრო; მე რაღა დროს
 ახლა სხვებმა დალიონო.
 შენმა ლექსმა ფრთა გაშალა,
 გულისპირი ჩამახია,
 ამედევნა შარა-შარა
 ნახა გულში რა მარხია.
 მსუყე ლექსთა, ცვრიან ფუნჯთა
 სული უდგათ ჩვენეული,
 რითმა ხომ არ დაგიმუნჯდა,
 სიყვარულის ხელეური?!
 გტკივა გული დედისერთა,
 სულ არ გინდა ეფოფინო,
 ლექსი ხომ არ გაგითეთრდა
 გრიშაშვილის შვილობილო?!

2003

რატომ არ გამიმეტე
„საკოცნელად რომ ვერ გაგიმეტე“,
ჯ. ჩარკვიანი „შირზას“

რატომ არ გამიმეტე, ერთი კოცნა რა იყო?!
 გაზაფხული წავიდა, სიყმაწვილე წაიღო.
 რატომ არ გამიმეტე, კოცნა როგორ მშობიოდა,
 გამეთოშა იმედი, მზეც არ ამოდიოდა.
 რატომ არ გამიმეტე, ანჩხლი ქარიც გაჩუმდა,
 მაშ, რად შემომეფეთე უჩარდახო მაჩუბთან.
 რად მომდევი წვიმაში, თავი გაიმამაცე,
 თამაშია, თამაში, დუმილის სილამაზე.
 ბედი გადაიმტერე, ჩვენი გზებიც გაიყო,
 რატომ არ გამიმეტე, ერთი კოცნა რა იყო?!

2003

სასაყვედურო რა მაქვს?!

ქალი პოეტად მაქციე, მტანჯე და მტანჯე მერე,
 რაც ტკივილები მასწავლე, სულ ლექსად გადავწერე,
 სულაც არ დაგემდურები, ასე მწუხარე ნუ ხარ,
 მე შენთან სასაყვედურო რა მაქვს, ბებერო მუხავ?!

1997

თოვს

გულში ჩავიხუტებდი,
 რა ლამაზად თოვს,
 თავდახრილი ტოტები
 შემარხიე _ მთხოვს.
 სადღაც მინდა გავიქცე,
 ხეტიალი მსურს.
 თუ მუხლები დავქანცე,
 დავასვენებ სულს.
 თოვლი, თოვლი რამდენი,
 მოფარფატე ცა,
 მთვრალი ღამენათევი
 მობარბაცებდა.
 გულში ჩაგეხუტები,
 ხეო დანათოვს,
 მომაფარე ტოტები,
 თავშესაფარს გთხოვ.

2003

ლამაზია ცრემლით დაბანილი პირი?!

როგორც ბალღი უდედობას,
 უშენობას ვტირი,
 ცრემლით უნდა დავიბანო
 ამაღამაც პირი.

რა ხანია სხვა ბილიკით
 წახველ, განაპირდი,
 ალვის ხეს კი ისევ ახსოვს,
 კოცნა დანაპირი.
 ვიღაცა სიყვარულსა მთხოვს,
 გახსენ დანავ პირი,
 ვინ მომირჩენს უშენო გულს,
 მელის რა ნაპირი?!

მესევიან საალერსოდ
 მარტი და აპრილი,
 მოგეწონათ განა, ცრემლით
 დაბანილი პირი?!

2003

გული მიწაში არ ჩამატანოთ

უტკივილებოდ როგორ ვიმდერო,
 უნდა გეტკინოს გული თუ არი,
 ამაქვითინე, ვით ლერწმის ღერო,
 არ დაიჯერო ჩემი უარი.
 მარადიულად ლექსად იწვიმებს,
 სული _ სანთელი აღარ აწვალო,
 მოდი, მკლავებზე გადამიწვინე,
 ქარო, ალერსი უნდა გასწავლო.
 მარტოობაში ღამე იღევა,
 ვარსკვლავები რომ გულზე ებნია,
 მაწამებს ყველა ქალის დილემა,
 ყალბი ტკივილი არ მიძებნია.
 მეტყვიან; დაცხრი, გულს დაეზავე,
 წლებდახუნძლული სიმშვიდეს ითხოვს,
 ქართა მონოლოგს გაგიღექსავენ
 სულის ეტრატი ვინ წაიკითხოს?!

ატმის კვირტივით სკდება ზამთარი,
 წვიმა საფლავებს უღვთოდ ასველებს,

გული მიწაში არ ჩამატანოთ,
თორემ სიკვდილიც ვერ დამასვენებს.

2003

ქ. კამსამოლსკი

ახლა წავიდეთ!

მნელი დაღმართი, იცის სად მელის,
თავს არ აიშვებს ჩემი იაზო,
ვდუმვარ, მინდა, რომ ჩემი სათქმელი
ჩამწიფებული ლექსით გაიმბო.
წლებმა ქარ-წვიმა გამომატარა,
არ ავაკვნესე სტვირი საჭირო,
სულს ვერ მივყიდი კოხტა სატანას,
რომ სიყვარული გადავარჩინო!
არ დამცდენია ბედის აუგი,
ქარის ენაზე შენ ვინ გაიმბო...
მე დიდ სიყვარულს ლექსი ავუგე,
ახლა წავიდეთ ჩემო იაზო!

2003

დედი, ჩემს წიგნზე იწერდი პირჯვარს...

რა აკრთობს ზეცას _ ღრუბლისფონიანს?!
რად აცახცახებს ალუბლების ჯარს?!
სახლში ხატები არა გქონია,
დედი, ჩემს წიგნზე იწერდი პირჯვარს.
ვიცი, რა დარდით იწვოდი ასე,
შვილებზე ლოცვით ღამის გამთევი...
და ოთხი შვილი გაუშვი გზაზე,
შენი იმედის ოთხი სანთელი.
შორი გზებიდან დაბრუნებულნი,
შენს დარგულ ვარდებს შევეფეთებით,
შენი ვაზებიც დაბერებულან,
ადარ უბრწყინავთ ცრემლის წვეთები,

რომელი ლექსით გავეტოლები
 სურნელს რომ წერენ იასამნები?!
 გამაბედინე ჩემი სათქმელი,
 ნუ მეურჩები, ლექსო დამნებდი.
 სულში უსიტყვოდ შემოიხედავ,
 მე თავს დაგიხრი გაუბედავად...
 მისაყვედურე დადლილო დედავ,
 მე მარტო სამი შვილის დედა ვარ.
 ლექსით გულიც ვერ მომიფონია,
 ვით გადავიხდი სამშობლოს ვალს...
 სახლში ხატები არა გქონია,
 დედი, ჩემს წიგნზე იწერდი პირჯვარს.

2004წ

გული კი არა...

სამთავროებად იფლითება საქართველო და
 ქეთევანივით დაკუწული სტკივა სხეული,
 ვერ იფარავდა და სიშიშვლეს ვერას შველოდა,
 საზღვარი ძველი, ძმათა ხელით შემორღვეული.
 თუ ვერ ავზიდე ერთგულების მძიმე უღელი,
 მეც დამაკარით კავკასიის მთების უნაგირს,
 ქართლი, ოსეთი, აფხაზეთი ერთურთს უღრენენ,
 გული კი არა, მტკივა მთელი მკერდის ბუნაგი.
 დედაო მიწავ, სხვა მხარეზე ხომ არ ტრიალებ?!
 რად იგვიანებს გაზაფხული საქართველოში?
 და რა ხანია სიძულვილში ახეტიალებ
 შვილებს გაბნეულთ სივრცეში და უაზრო დროში.
 გაიკლაკნება სიბნელეში ელვა და მეხი,
 გზადაკარგული შორს ფოთოლი ფოთოლთან მივა...
 ქარს წაუღია ჩემი წილი ზეცის ნატეხი,
 გული კი არა, მთელი მკერდის ბუნაგი მტკივა!

სექტა

ცოტა დაგრჩენია თურმე მეციხოვნე,
 შავი სისხლი წვეთავს აღმოდებულ ბექთარს,
 ძველკოლხური ცოდვა ისევ შემიცოდე,
 მცხეთას წარმართული იელოვას სექტა.
 წმინდა გიორგია დიდი საქართველო,
 ცეცხლის აღმა ქრისტეს ჯვარი აგვილოკა,
 ყვავილთა ორგია გზებზე დათარეშობს,
 უწმაწურ კოცონთან ფეთქავს ღამის როკვა.
 უკვე შემოიჭრა სხვა გრიგალი ზღვიდან,
 შენი სამოსახლო ცეკვით გადალეკა,
 ანაფორების ქვეშ ისევ გადავიდა,
 ბასრი მახვილები დიდო_ამალეკთა.
 როდემდე მოითმენ ქართლის სულო ლოდინს,
 როდემდე უნდა ქმნა სიძნელენი თვითონ,
 ერის უკვდავება სიწმინდიდან მოდის,
 გესმის, დასარჩენად გაწრთობილო მითო?!
 ისევ გაგიხსენა ძველკოლხურმა ჟინმა,
 დაგდევს იელოვას წარმართული სექტა,
 როგორ გააღმერთე, როგორ შეგაცდინა,
 რატომ დააწაფე შენი სულის ნექტარს?!

2004

მუხა იისფერ სიზმრებს ნახულობს

ვერ მორევია ჟამი ვერაგი,
 მუხა იისფერ სიზმრებს ნახულობს,
 შემოხვევია მწვანე პერანგი
 და სიმღერები საგაზაფხულო.
 დაეშვებოდა ვარსკვლავთა ფარდა,
 თუ ღრუბლის სურით ცრემლის ღვარები,
 არ უწაწლია ბნედიან ქართან,
 ებრძოდა ველურ ახარხარებით.
 შორს გაფრენილი ფოთლის წერტილი,

სიყვარულივით დაუბრუნდება,
და გაზაფხულით წელმოწყვეტილი
ქარი ლეკვივით აწკმუტუნდება.
მერე უძვრება ნაოხარ ტანში,
როს სხვა ხეები კაბებს კერავენ,
არ გააღვიძოთ ფოთლების ტანით,
მუხას სიზმრები უყვარს ფერადი.

წრებრუნვა

არ მეშინია ალუბლებთან სისხლის აღრევით,
ყველა სიცოცხლე თუ სიკვდილთან მაინც ვალშია...
და საკუთარ კუდს ადევნებულ, ბრიყვი ძალღივით,
დაუსრულებელ წრებრუნვაში ვარ.

ვიყო ღარიბი და ლამაზი გაზაფხულივით,
ლექსის ჭიკჭიკი მალვიძებდეს დილაადრიან,
თბილია გული, კელაპტარი _ სითბოულევი,
და შემოდგომას, ან ცივ ზამთარს ვით შემადრიან?!
დაუწერელი სტრიქონივით სიკვდილი მდევდა,
ლანდად მოვლენილ გოცებას ჰგავს სამლოცველო,
თვალეზით მეტყვი: _ მოწყალება მოილე ჩემდა,
მე ვით გიშველო?!

ნუ გეშინია ალუბლებთან სისხლის აღრევით,
ყველა სიცოცხლე ხომ სიკვდილთან მაინც ვალშია...
და საკუთარ კუდს ადევნებულ, ბრიყვი ძალღივით
ადამიანი წრებრუნვაშია.

2004

შენი ფეხის ნაბანი (წინაპრებს)

გიცდის მიწის საბანი, ჯერ ნუ დაიქანცები,
შენი ფეხის ნაბანი ღვინო გვასვი ყანწებით.
ცოლად ვაზი დაისვი, მხრებით ზეცა აზიდე,
ასი ვაჟი დაისხი, ასი ქალი გამზითე.

თვალი _ ქორის მანძილი, მხრები _ საზღვარ-სამანი,
 ასი წელი გაძელი, დააბერე სამარე.
 ღვთის სასწაულს ელოდი, რწმენაგაურიყავი,
 სულ მიწას ჩასტიროდი, რადგან მიწა იყავი.
 დარდი გაგყვა დიდრონი, პაპის-პაპის-პაპილო,
 ვაზის ცრემლის მირონი ჩამიწვეთე აპრილო.
 სისხლით რომ ჩამაბარე, მაგ მიწაში ჩავწვები,
 შენი ფეხის ნაბანი, დაილევა ყანწებით.

2004

ათი ბიჭი

შვილს ლევანის

ნეიტრონამდე, დაწყებული ავტომატიდან,
 რა იარაღი ძლიერია, რა უფრო რთული?!
 ასახელებდა ათას რამეს ცხრა იმ ათიდან,
 ბიჭები კაცურ საუბარში იყვნენ გართულნი.
 ხოლო მეათეს არც უსმენდნენ, პატარა იყო,
 არც ჰქონია მის იქ ყოფნას აზრი სრულიად,
 ბოლოს მან ყველა შეაცბუნა, ხმა ამოიღო,
 ”ყველაზე უფლო ძლიელი ხო სიყვალულია!”

2004

მ-ს

სიყვარულს ვინ გამოიმეტებს,
 როგორმე რომ სული მოეთქვას,
 ამდენ გაცრეებულ იმედებს,
 ამდენ ატირებულ პოეტ ქალს...
 ამ წუთისოფელში გლოვა და
 სულ ტანჯვა-ტირილი რად გვიყვარს?!
 ერთხელაც სიკვდილი მოვა და
 სუყველას წკვარამში წაგვიყვანს.

2004

ლექსი გესროლე
 “არ მოგხვდაუა, რჯულომადლო?”

ვაჟა

უცხო ბილიკებს ვადიდებ,
 ჩემ გზები უნდა დავყარო,
 ჩიტისამც ბუდეს აგიგებ,
 შიგ ჩაგიტოო სამყარო.
 დავქსოვე ჭრელი წინდები,
 ცრემლებით ამოგიქარგე,
 საალერსოდ მამინდები,
 სადა ხარ, სად დაიკარგე.
 ქარო ამბავი წაუღე;
 მიყვარს, რაც უნდა ვფიცავდე,
 – ლექსი გესროლე ნადული,
 ვერ მოგხვდა, გულის ფიცარზე?!

2004

იწამე ძალა სიყვარულისა

გამოუვლია გლეხის და მეფის
 პოეტის, გმირის, რაინდის გულიც,
 ვარდების ოხვრას, ბულბულის ყეფას,
 ჩვენი ეპოქა რად ვეღარ უვლის?!
 ოქროცურვილი, დარდებნალესი,
 ჰარამხანები გამოუვლია,
 სიყვარულია მიწის ალერსი,
 დედის ღიმილი სიყვარულია.
 სიყვარულია მამის ჭადარა,
 შვილის ტაატით წასვლა სახლიდან,
 კუბო – ნინომ რომ ცრემლი აღვარა,
 ტყვია – პაოლო გულს რომ ახლიდა.
 ყინვა-ცეცხლგამძლე ლექსის ზაფხული,

და ბობოქარი ხმა სიმღერისა,
 აკვანი ჭერში გადანახული _
 სიყვარულია შენი ერისა.
 პაპის საფლავზე ყვავილის ღერი,
 ზედაშე ჩიხტიკოპგადახდილი,
 სალამურის ხმით ძარღვში ნამღერი,
 სისხლის გუგუნნი _ მთების ძახილი.
 იწამე ძალა სიყვარულისა
 და შენს მაგიერ ბედთან იდავებს,
 გაგაძლებინებს ჯოჯოხეთშიაც,
 ამღვრეულ სურვილს დაგიწმინდავებს.
 ვაზი უგონოდ მობარბაცებს და
 ნაბახუსევზე ღვინო სწყურია...
 საქართველოში თავად სიკვდილიც
 ერთი ლამაზი სიყვარულია.

2004

სიცოცხლე ლექსად

სიცოცხლე ლექსად გადმოვწერე სისხლიდან ისე,
 როგორც ატმები გაზაფხულზე წერენ ყვავილებს.
 ნედლი სტრიქონით გულმოსული ბედი გავსრისე,
 ვენატრები და ეჩქარებათ მოსვლა აპრილებს.
 არ გამიღვიძო, მივაძინე ქარი სერებზე,
 ჩამოვაფარე მონატრებას ნისლების ფარდა,
 ცქრიალა წვიმავ, ჩაიარე ფეხისწვერებზე,
 და არ გეწყინოს, შენზე მეტად მე სხვა მიყვარდა.
 ისე კარგი ხარ გაზაფხულო, ისე ალალი,
 რად იღრუბლები, შეგიყვარებს ვინმე ჩემსავით,
 ჩამომიქროლებს ბედისწერის ბრიყვი ალალი,
 დაგლეჯილ ლექსებს გვირილები დამიკემსავენ.
 მითხარ ღრუბელო, შენ არავინ არა გყოლია,
 სიმართლისათვის დედასავით დასაფიცარი?!
 დღეს სიხარულმა იმნაირად ამიყოლია,

არ მათქმევინოს ჩემი მწარე მუზა ვინც არი.
 გარეთ გამოდი, გულო ჩემო, გაიმაისე,
 არ გაატანო სიჭაბუკე დღეებს ჩავლილებს,
 ტკივილი ლექსად გადმოწერე სისხლიდან ისე,
 როგორც ატმები გაზაფხულზე წერენ ყვავილებს.

1984

**რამდენი იარა საფლავში წაიღე?!
 (წინაორებს)**

სისხლო დასაღვრელო, მაინც დაიღვრები,
 ურჩხულს ასთავიანს ეკვეთე და ლეწე,
 ომით არ იღლები, მიწით არ იღლები,
 ვინ ხარ წინაპარო, ასე ყოვლისშემძლე!
 ვით არ მოგეფერო, მიწავ მადლიანო,
 გლახო, გულუბრყვილო სიკეთით მდიდარო,
 ვიდრე საქართველო არ გაამთლიანო,
 დაღვრემილი შუბლი არ გამოიდარო.
 რაიც დაგვიტოვე, სახელად ვიკმარე;
 ისტორია _ ხმლებით ნამოვნი მთა-ბარი,
 ერის უკვდავება, სააკაძის ფარი,
 ერეკლე, ილია, დავითი, თამარი.
 თუ შემოგვიღეწა მტერმა ძველი ციხე,
 შენ ვინ გაგიბედოს პაპი, საყვედური,
 რამდენი იარა საფლავში წაიღე,
 მალამოდ გეფინოს მიწა, მშობლიური!

2004

წამოვალ შენთან

მზე საქართველოს თავბრუს ახვევდა,
 იწვა მიწა _ ალერსკმარებული
 და მდინარეებს კაბებს ახვევდა,
 აპრილი, ჩემზე შეყვარებული.

ლექსმა ჯებირი გადმოანგრია
 და გაზაფხული ლამის წალეკოს,
 გამოიღვიძე დილაადრიან,
 დაიბუბუნე მთაო _ შავლეგო.
 კალაპოტებში წვანან ლოდები,
 ისე ბარბაცებს, მდინარე დათვრა
 და ყველაფერი უბრალოვდება,
 თუ სიგიჟემდე არ მოგენატრა.
 ადგება გული და გულთან მივა,
 ვერ შეაშინებს გზა და სიშორე,
 ვიდრე ბებერ ხარს რქები დასცვივა,
 უფლის და კაცის ვალს მოიშორებს.
 უსმინე, მიწამ დაიწყო ფეთქვა,
 ქვასაც კი გულში ცეცხლი აენტო,
 ლექსად დავტოვებ, რაც უნდა მეთქვა,
 გავგიჟდები და წამოვალ შენთან.

2004

სულის თავშესაფარი

ჩუმად, ხეები კვირტებს გვესვრიან,
 სტრიქონი შენთან ქარს დავაბარე,
 არც გატაცება, არც პროფესია,
 ლექსია ჩემი სულთშესაფარი.
 აელეტება ლტოლვილი ბედი,
 მომთაბარეობს გზაარეული,
 შენ, სიჭაბუკევე, საით წახვედი,
 სად მიატოვე ნორჩი სხეული?!
 სულს შემოდგომა შემოესია,
 ფოთლის შრიალი მოეფონება,
 რადგან ტკივილით სავსე ლექსია,
 ერთი ეული ქალის ქონება.
 რა უდარდელი ღიმილით მოდის,
 სხვა თაობა და სხვა ფასეული,

გადავაგორეთ სიზიფეს ლოდი,
 დაწუნებული ეს ასწლეული.
 ვერ შემაშინებს სიტყვა ავბედი;
 სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარი,
 ლექსია ჩემი ხორცის ნაფლეთი
 და ჩემი სულის თავშესაფარი.

აღსარება

სიცოცხლის ბილიკებს ტკივილით ქარგავენ,
 ძალუმს მედიცინას რჩენა იარების?!
 გაძღვების ნიჭი მაქვს ჯერ დაუკარგავი,
 ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
 როგორ დაცრეცილან ეკვდერის ხატები,
 ჟამთა გარდასულთა შუქ-ნაამბორალი,
 ცოდვილ სულს სატანჯველს ისევ ამატებენ;
 ჯვარცმულის შუბლი და იუდას მორალი.
 ბედი ჯოჯოხეთის კარებს მიჭრიალებს,
 მომელის სიშმაგე მის შავი თვალების...
 და აღმსარებელთა აყუჩებს იარებს;
 ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
 თავს ნუ მოიტყუებ, ნუ დაიტანჯები
 და ჩემს დაშინებას ნუ ცდილობ სატანავ,
 ყელსაც შემიმკობენ თვითმკვლელი ქანჩები,
 შევძლო ჯოჯოხეთის ამქვეყნად ატანა.
 ქრისტე, მამაღმერთზე უფრო ღმობიერი,
 იცოდა შენდობა ვინაც ჩემდარების,
 მოვა, მოიტანოს რწმენაზე ძლიერი;
 ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.
 კანდელში კანკალებს იმედი აჩრდილად,
 ამ ტაძრის კარები რამ გაამათხოვრა?
 და რწმენის შერყევა ვინც გამიადვილა,
 ბორგავს, ღვთის მსახურთა სექტანტური ხროვა.
 ბინძური მგონია მე ჩემი ტუჩები,

ღვთისმშობლის ხატებო, ვერ გეამბორებით,
 ვინ იცის, რამდენი გლოშნით ლაყუჩები,
 სხეულში უჩინარ ცოდვათა გორებით...
 და ვიდრე საფლავზე მარტოხეს დარგავენ,
 სულში შრიალია სველი იარების,
 სამოთხის იმედი მაქვს დაუკარგავი,
 ზეთი გაბრიელის, ღვინო ზიარების.

2004

მეგობარ პოეტს

*“რად გინდა იყო დიდი პოეტი,
 თუ სიცოცხლეში ხარ უბედური”?
 გალაკტიონი*

მეც მტანჯავს კითხვა: _ რისთვის მოვედი?!
 დამაქვს ტკივილი უსაყვედურო,
 სწორედ იმიტომ ხდები პოეტი,
 რომ ცხოვრებაში ხარ უბედური!
 თუ ჩვენში ვინმე მიზნად ისახავს,
 ბედნიერებას _ გზაშეშლილია,
 ბედნიერებას ლექსი არ ახლავს,
 ლექსი ტკივილის ღვიძლი შვილია.
 ქარი სტრიქონებს დაიტაცებს და
 დაიფლითება ძველი რვეული,
 მაინც ბრძოლაში დავაჟკაცდება,
 ლექსი, ვადაში გადამტვრეული.
 არ დამეკარგო, განა ადრეა
 უკანასკნელი გედის არია?!
 ჩვენ პოეტობა არ გვინატრია,
 პოეტი ცრემლის ტყუპისცალია.
 ერთ სიცოცხლეში ვერჩატეული,
 მარადიული მიჯნური ჰქვია,
 შემოქმედება გოლგოთის გზაა
 და ლექსი გულზე დახლილი ტყვია.

ჩემს დაბადებას ტიროდა მტრედი,
 ყველა აკორდში ცრემლი ერია...
 როგორ გახდება აბა პოეტი,
 ვინც სიცოცხლეში ბედნიერია?!
 2004

ჭერმის ხე პაპის საფლავზე

პაპი, შენსავით ჩამოხერდა შენი ჭერამი,
 წელში მოხრილი დგას საფლავზე და შემოგვხარის,
 ჩვენი სიცოცხლის გზებს ვადარე თავდაჯერებით;
 ირმის ნახტომი და ნავალი ბებერი ხარის,
 მოკვდები კაცი და მამულში ჩაითესები,
 საფლავის მიწით სახელი ვერ დაიმალება,
 კუბოს ფიცარი გაგიხვრიტა ამ ხემ ფესვებით,
 და ყვავილები გვილიმიან _ შენი თვალები.
 გამოიზამთრა, ბებერ ტოტებს ითბობდა მზეზე,
 შეკრთა ჭერამი, როს ტოროლამ დილა ახარა,
 უკანასკნელი ყვავილებით მდორე ლექსებზე,
 შენი ტალ-კვესის ნაპერწკლები გადმომამყარა.
 2004

ტუჩები

შენ რომ გიყვარდა, ის ღვინო ვარ _ დაუდუღარი,
 ქალი გეგონე? რად გათრობენ თბილი ტუჩები?!
 ვიცი, უჩემოდ სამოთხეშიც ვერ გაიხარებ,
 ვერც მოილხენ და ვერც გასაჭირს გაეურჩები!
 ღვინო სულია ბობოქარი, დოქი _ სხეული,
 ვით ჩემი გული ცეცხლია და თიხა ტანია,
 მიყვარს ვაჟკაცი ვულკანივით გზაარეული,
 მძულს ლოთი, ვინაც ჭიქის აჩრდილს აუტანია.
 თუ შეგიძლია ღვინო კოცნე, დოქი კი არა,
 გამოჩორკნილი რად გიზიდავს თიხის ფიგურა,

მოდის, მითხარი, თუ სიმთვრალემ გადაგიარა,
 ხომ ცივი იყო, ცარიელი თიხა – ქვისგულა.
 ღვინო ვიყავი და შეცდომით ქალი მიწოდე,
 ეგ შენი დოქი დავიჯერო ჩემზე უხვია?!
 თუ გიგემია, ერთხელ მაინც უნდა იცოდე;
 დოქის ტუჩი და ქალის ტუჩი რას გაუყვია?!

2004

სინანული

შ.კ-ს

ჩამოვარცხნიან ქარები ტირიფს,
 ეს ნაკადულიც სად მილიკლიკებს,
 როცა მე, ჩემი ბედივით ირიბს,
 ჩუმად მივყვები ცალფა ბილიკებს.
 ქუჩაში ბიჭი გადამელობა,
 რას მომანატრა სხვა სიყმაწვილე!
 მე სიყვარული საგზლად მეყოფა,
 თუ გზაში ყველას გავუნაწილე.
 ვინ მამალებდა ბავშვობიდანვე,
 ჯერ მეცხოვრა და მერე მეწერა,
 დონ-კიხოტივით ქართან ვიდავე,
 სიცოცხლის გზები არ გამეწელა.
 ლექსთან ჭიდილი რად დამეხედა,
 მთელი სიცოცხლე როგორ ვაჩუქე?!
 ქუჩაში ბიჭი შემომეფეთა,
 რას მომანატრა სხვა სიჭაბუკე!

2004

ვერავის ვშველი

მე არ მოვსულვარ საბედნიეროდ,
 მაგრამ რად უნდა მადარდიანო,
 წარმართ ღმერთებზე უფრო ხნიერო,

გულს რატომ მიკლავ ადამიანო.
 გამიშვი, წავალ ჩემი ბილიკით,
 გაზაფხულივით მოსული ქალი,
 ჩემი ამური დავჭერ პირიქით,
 ლექსის წყურვილი ვერ მოვიკალი.
 ყაყაჩოსავით გარდავიცვლები,
 მოზარეებად მოვლენ ორბები.
 არ იშლებიან მიწაში ძვლები,
 წვიმა მოვა და განვმეორდები.
 ალუბალი ვარ გადაპენტილი,
 ენძელა, კოჭლი და ფეხშიშველი,
 ვარ ერთი ლექსის მრავალწერტილი,
 მტერს და მოყვარეს ვერაფერს ვშველი.

2004

თვითმფრინავში

დავყურებ მაღლით და ვეფერები,
 ციცაბო კლდეებს, ნისლარშიიანს,
 ბეჭდაუდები შენი დევები
 ისევ აქ დგანან ნუ გეშინია.
 როს სიკვდილია ასე იოლი,
 ვერ შევედრები მტრის მოიმედეს,
 ხელს შემაშველებს კავკასიონი,
 კავკასიონი არ გამიმეტებს.
 გაფანტულია დღეს ჩემი ერი,
 და მაინც, ბედთან მებრძოლი ჰქვია,
 საქართველოში ვარ ბედნიერი,
 სადაც სიკვდილიც სიყვარულია.
 დავყურებ მაღლით და ვეფერები
 ციცაბო კლდეებს, ბრძოლის ჟინიანს,
 ბეჭდაუდები შენი დევები
 ისევ აქ დგანან, ნუ გეშინია.

უსახელო თანამგზავრი

“სახელის ხეს საჩრდილობლად წყლისა პირსა” – მეცა ვრგავდი,
 მოვდიოდი და დიდების მაძიებელს განა ვგავდი?!
 როცა ბედმა დაუნდობლად დამაზრო და დამაწვიმა,
 სიყვარულმა გაიმეტა ერთი სხივი პაწაწინა.
 სათაყვანოდ ღმერთმა ერთი სალოცავი შემირჩინა,
 ცხრა მთას იქით რომ ვეძებდი, ის საუნჯე დამხვდა შინა.
 შემომიჩნდა ბელზებელი, დამაყენა სხვაზე წინ და,
 ბოროტებით უნიჭოზეც აუგი ვერ მათქმევინა.
 ჩემთვის ჩუმად ვიგალობე, რომ არავის გაეგონა,
 რწმენა ფრთებად გამოვძერწე, ეშმას აბა რა ეგონა?!
 სათაფლიას გადავუფრენ, ჩიტი განა დინოზავრი?!
 ვარ ქართული პოეზიის უსახელო თანამგზავრი.

2004

სიკვდილი რა ადვილია!

არა და არ დაელია მამულს ცრემლიანი წელი,
 სიკვდილი რა ადვილია! სიცოცხლეა ახლა ძნელი.
 იმ ქვეყნადაც მელოდება საქართველო ჩემი წილი,
 რა ცრემლი და რის გოდება, მიმეჩქარება სიკვდილი.
 მიწის მაჯა დათვლილია, ფეთქავს ტკივილები ძველი,
 ბოროტება ადვილია, სიკეთე – როგორი ძნელი!
 როცა დარდი ნამდვილია, სიხარული ვერ შევძელი,
 გულის ჩაკვლა ადვილია, გულის გახარება ძნელი.
 მორდუმ ყანწი დაგვილია, სიტყვა გვითხრა აღმაცერი,
 კაცის მოკვლა ადვილია, კაცის გადარჩენა – ძნელი.
 სამშობლოს გზა აგვერია, გულო მისთვის ანამგერი
 მოვკვდე? როგორ ადვილია, იცოცხლო – როგორი ძნელი.

2004

ჩვენ და ლექსები

მოდი, ამაღამ დაუწერელ ლექსებს შევებათ,
 თორემ იცდიან მონათხარი მიწები გროვად,
 მი-მოგვთესავენ ფაციფუცით საფლავეებად,
 თითქოს მეორე გაზაფხულზე ისევ ამოვალთ.
 პატარა კაცებს ვერ მოვიყვანთ სიკეთით გონზე,
 გული დარჩება მორღვეული და მოზარბაცე,
 მოვა, დაგახლის ტყვიასავით ქორფა სტრიქონზე,
 სიტყვას, რომელსაც სიყვარულში არ ამოაწებს.
 არვინ იფიქროს; სხვის ნებაზე მარმაში ვშალო,
 ხომ მოჟღურტულე რითმას უცებ ენა დაება,
 სიყვარულისთვის ამღერებაც რომ დამიშალოთ,
 რითი ვისუნთქოთ პოეტებო, ჩვენ მოკვდავებმა.
 დაწუნებული სტრიქონივით ბედი ვის წაშლის?!
 სქემა რჩება თუ პოეზია გულით ნაწვეთი?!
 არ ჩამჟავდება სხეულივით კუთვნილ მიწაში,
 დაუწერელი არ დამრჩება ლექსი არც ერთი.
 თუ დავდუმდები, გულმოსული ამაზრზენ დროზე,
 ნუ გეგონებათ ვერ გარჩევდეთ პატარა კაცებს,
 არ დამახალოთ! ტყვიასავით, ქორფა სტრიქონზე,
 სიტყვა, რომელსაც სიყვარულში არ ამოაწებთ!

2004

რა ეშველებათ?!

მურმან ლებანიძეს.

წიგნი დარჩება ბედის ამარა,
 ტკივილიანი გალიე გზები,
 ისევ თბილია შენი სამარე,
 ჯერ არ შემშრალან სველი ლექსები.
 ვერ აისრულა გულის წადილი,
 ილტვის სიკვდილი მგლური ძუნძულით,
 განა ჩაქრობა იყო ადვილი

შუბლის _ რითმებით გადახუნძლულის?!
 დასავიწყებლად შენც გაგიმეტეს,
 უკვდავყოფილი ლექსების თქორში...
 რა ეშველებათ მშიერ პოეტებს
 დაქუცმაცებულ საქართველოში?!

2004

რელიგია

ფერგადასული, ალიონზე მზე მირონს იცხებს,
 ნამები წერენ ბალახებზე უცხო პოემას,
 გულზე დატოვილ ავტოგრაფებს ვინ დაივიწყებს,
 დამწყები მწერლის გრანდიოზულ უბრალოებას.
 ნაგუბარებში შემოდგომა შემოაბოტებს;
 ჩამოფლეთილი კაბა, მწიფე მუხლისთავები...
 ვერ მიიღებენ ველურები ვით ახალ ტოტემს,
 საპერგამენტედ იფცქვნიებიან ხორცზე ტყავები.
 იწიოკებენ სადღაც ზარები ტირილის ხმაზე,
 აყმუვლდებიან მინარეთზე თეთრი მოლები,
 წამოაგებენ სამსხვერპლოს თავს ცოდვიან სარზე,
 კერპთა კისრებზე კი ცრემლები გაიბროლებენ.
 ადუღებულა დედამიწა, ვით ჯოჯოხეთი,
 ერთი “ურჯულო” სხვა “ურჯულოს” როგორ იმეტებს!
 თეთრ ბაირაღებს აფრიალებს იელოველი,
 რწმენათა შერწყმის, შეერთების ჰგავს მოიმედეს.
 და რელიგიას, უღრან ტყეში გარჩენილ ყმაწვილს,
 ადამიანმა ბინა მისცა და გამოზარდა,
 მარადიულად ცრემლი ათოვს და სისხლი აწვიმს,
 ჯვარი და ხმალი უკიდია ბომონის კართან.
 უნდათ ეძებონ რელიგია ახალ-ახალი,
 მილიონები რიალებენ მიწაზე ობლად...
 სიცოცხლის ხეზე კვირტებივით ამონაყარი,
 რად უარყავი სიყვარული კაცობრიობავ?!

2005

იური ჯინჭარაძეს

დავიყოლიე ცრემლი, მაგრამ გული ვერ ცხრება,
 შეაჟრიალებს გაზაფხული ქორფა სტრიქონებს,
 ბაბუ, თმებივით ლექსიც დარდით შეგევერცხლება,
 ახალშობილი რითმის ღულუნს ვინ გაიგონებს?!
 აკივლდა ცა და... შენს საფლავზე თოვლის თმებია...
 მზეც დედასავით მოადგება ცარიელ სარკმელს,
 გულზე დაყრილი ცრემლის კვირტებიც ყვავილდებიან
 და დროც ყველაფერს ალბათ თავის სახელს დაარქმევს.
 ძნელია, როცა გაზაფხულზე იღვიძებს მიწა,
 შენ კი ნესტიან სიბნელეში უნდა გეძინოს,
 თურმე სიკვდილმაც ტკივილები ვერ დაგავიწყა,
 უკვდავებაშიც ულექსოდ რამ გაგაძლებინოს?!
 გაჩეხილ გულში ჩაიბუდე ანგელოსები,
 ვიდრე სამარეს გაზაფხულით შეგიმოსავდეთ,
 მამულის გზებზე მეციხოვნედ დარჩნენ ლექსები,
 ციხის ნანგრევზე ამოსული ყაყაჩოსავით.

2005

ჩემს ბუხარს

ვინც არ ანათებს და ჩუმად იწვის,
 ჩაენაცრება ბედი მგონია,
 მე შენზე ტკბილი ღულუნი ვიცი,
 მე შენზე თბილი გული მქონია.
 ისევ მარტო ვარ, არაფერს ვითხოვ,
 რომ ღამეს ძირი გამოვუთხარო,
 მე განა მცივა და მინდა სითბო?!
 მელაპარაკე მარტო ბუხარო.
 მელაპარაკე, მაგ თბილი ენით,
 ერთი ზღაპარი კიდევ მითხარი,
 გაზაფხულივით სიზმრების მშვენი,

სიყვარულივით დაუვიწყარი.
 ამიწიოკა ქარმა ქალაქი,
 მეკითხებიან რაზე წუხარო,
 მე სულში მცევა და მინდა სითბო,
 მელაპარაკე ჩემო ბუხარო.

2004

გველებად იქცნენ ჩემი ლექსები

დამარცხებასაც არ გავექცევი,
 რადგან სიცოცხლე ბრძოლის ველია,
 გველებად იქცნენ ჩემი ლექსები,
 თუ ერთ გულს მაინც ვერ უშველიან.
 ნაზამთრალ მუხას მესროლე მეხი,
 თუ სხვათა კერპად უნდა გამთალონ,
 ყველა იმედი გადამიჩეხე
 თუ გეძნელება შვილად ჩამთვალო.
 უარმყავი და გამინაპირე,
 თუ დედა ლოცვით არ დავიფიცო,
 ნუ შემომიშვებ სულში აპრილებს,
 თუ გამიმრუშდა ლექსი უბიწო.
 დე, პოეზიით ნურც ავენთები,
 თუ თავზე მეტად არ მყვარებია,
 გველებად იქცნენ ჩემი ლექსები,
 სიყვარულს თუ არ ეწამლებიან.

* * *

უნდა მცოდნოდა ... დარდად მექნება...
 ფიქრი თუ გულ-გვამს დამიკორტნიდა,
 რად ვერ იკმარა სულმა ლექსები,
 შენს თვალებს რატომ წაეპოტინა?!
 უნდა მცოდნოდა... თუმც გული შენი
 ვიცოდი ლექსებს არ იკარებდა,
 მე ისევ წავალ და თავს ვუშველი...

ეს, წუთით შევდექ ხსოვნის კარებთან.

2005

თავისთავად

№-ს. ლექსის წერა რომ უნდოდა ესწავლებინა.

ვინ უკარნახა ვარდებს სურნელი,
ან ვინ ასწავლა ბუღბუღს გალობა?!
ვინ მისცა წითელ ყაყაჩოს ფერი,
ანდა ენძელას გამბედაობა!
სულს ვინ ასწავლა მელანქოლია,
რძისფერი ცრემლი _ ბაბუაწვერას...
მე ქუდბედივით თან დამყოლია,
ვერვინ მასწავლოს ლექსების წერა!

2005

უნდა შევცოდო

რატომ მიკრძალავ იმას, რითაც ენა ამიდგი,
მძიმეა ცოდვა, სწვავს ჯოჯოხეთში
ჩაუქრობელი ცეცხლის ალიო,
უნდა შევცოდო,
თუ სიყვარულს ცოდვად ჩამითვლი,
უნდა შევცოდო,
რომ რაღაცა მოვინანიო.

2004

ზოგჯერ

ჰკლავს წერის სურვილი, ყირაზე გადადის
და ქარი ბალახზე ავტოგრაფს ჩანიშნავს,
ღიმილი ყოველთვის ღიმილი არ არის,
შეჩვევა ყოველთვის სიყვარულს არ ნიშნავს.
ხესაც არ უნდოდა წვიმაში ეტირა,
მაშ რა უნდა ექნა, მეტი გზა არ იყო,

ზოგჯერ სიძულვილი ტყვიაზე მეტია,
 ზოგჯერ სხვისი ლხინი არ უნდა გაიყო.
 ნაკადულს შეუწყდა თავისი არია,
 ყელზე დაადგება მდინარეს _ ალალი!
 ბევრჯერ ბოროტება ლამაზი ქალია,
 ბევრჯერ მათხოვარი ღარიბი არ არი.
 სიცოცხლე ასლია ფერადი ბარათის,
 რაღაცას გადაშლის, რაღაცას ჩაიწერს,
 სიმღერა ყოველთვის სიმღერა არ არის,
 სიკეთე ყოველთვის სიკეთეს არ იწვევს.
 გულმა ტკივილები ლექსად ამოხეთქა,
 ვიღაცას იმედით რომ ღამე ეთია,
 უარი ყოველთვის არაა უარყოფა,
 ზოგჯერ თანხმობაზე ათასჯერ მეტია.
 წვიმა ბალახებზე ავტოგრაფს ჩანიშნავს,
 აცეკვდნენ ქარები _ ღრუბლები გალალეს,
 ალერსი ყოველთვის სიყვარულს არ ნიშნავს,
 სიცოცხლე ყოველთვის სიცოცხლე არ არის.

2005

კოსმიური წესრიგი

მხატვარ ილია პატაშურს

უბელო ფერები _ სულის რაშებია,
 ფუნჯიდან ნაწვეთი ცაში გაგშვებია,
 ნედლია, ლორთქოა, მზეში არ შრებიან,
 დიდი გენიები დიდი ბავშვებია.
 დაგიურვებია ფერთა ულაყები,
 და სული ბრიალებს ფერნაცხებ იარად,
 ჩარჩოში მომწყვდეულ მაგ მთებში აგყვები,
 სამშობლო ყოფილა, ნახატი კი არა.
 ცაში იძირები ჭრელი მირაჟებით,
 ხელს შეგაშველებენ ნათელი სვეტები,
 მიწაზე ეშვები უბელო რაშებით,
 კოსმიურ წესრიგში სხდებიან წვეთები.

და სულისცეცებით დაემებს მხატვარი,
რომ აღარ ასვენებს, რომელი გამაა,
და მკლავი კი არა, გულია მთავარი,
შემოქმედება ხომ კარდიოგრამაა.
დაბადებიდანვე ბედს ეურჩებიან,
ფუნჯიდან ნაწვეთი _ სამოთხის საშვები,
იცინა ყველა გზა... და გზაში რჩებიან,
დიდი გენიები და დიდი ბავშვები.

2005

კახელები

დასხდებიან ბუხრის პირას მრეში, მოუხეშავი,
გაცვეთილი, როგორც ძველი ფსალმუნი და ლოცვანი,
მათი ნატვრაც, დარიგებაც, სადღეგრძელოც ეს არი;
“კაცი იყოს კაცური და ქალი პატიოსანი”.
ხან ძლიერი, ხან უმწეო, ხეთა ნორჩი ზროსავით!
ეფერება ვაზის ყვავილს, კაცი გასაოცარი,
ჭრელი კაბით გაცრეცილი საქართველოს მმოსავი,
თავს უხრიან მორიდებით გვირილა და სოსანი.
საპურეში ოზიანი ოზლის კვერი სდებია,
მამა ჰყავდა ცალუღელა თუ დედა შაოსანი,
სიბერემდე რაც გამოჰყვა და არ დავიწყებია;
კაცი იყო კაცური და მართლა პატიოსანი.
მიყვარს შენი საქართველო დაფლეთილი, ყარიბი,
შენი გახეხილი ქედი ლალატმიუკარები,
მიყვარს შენი წამღერება, შენი ლექსი ფრთოსანი,
კაცი მიყვარს კაცური და ქალი პატიოსანი.

2005

მენატრება

დამინახე, შენზე ლექსად წვა ვარ,
გვირილებში ვდგავარ მუხლის ჩოქით,

ჩქარა, თორემ სიჭაბუკე წავა,
 დავიცლები, როგორც ძველი დოქი.
 მე ვათრობდი მოზარბაცე ქარებს,
 თაფლის სანთლებს ვასწავლიდი ლოცვას,
 გაზაფხულო, ხელს ნუ მომაკარებ,
 ვერ გაუძლებ ჩემს დამბუგველ კოცნას.
 ბნელ ღამეებს ხერხემალში ამტვრევს,
 ამღვრეული სტრიქონების ბოდვა,
 მოთენთილი მზე ამოვა ადრე,
 დაედება ერთი ლექსის ცოდვა.
 განთიადი ნიავს დამალოდებს,
 მთვარის თასით ვარსკვლავებიც შევსვი,
 მაგრამ, როგორც ქრონიკულად ლოთებს
 მენატრება ასი გრამი ლექსი.
 2005

ჯარისკაცი და ტყვია

*დისშილის: ირმა ფხალაძეს, რომელიც
 საქართველოს საბრძოლო ბატალიონში მსახურობს.*

მამულის მიწას არ გაჰყიდინან,
 მარტო პეშევებით მიაქვთ,
 დაბრუნდებიან, სადაც მიდიან,
 ჯარისკაცები ჰქვიათ.
 სამშობლოს ცაზე როცა ბინდია
 და გრიგალები ქრიან,
 ცეცხლში მიდიან, ქარში მიდიან,
 ჯარისკაცი და ტყვია.
 გადაივლიან მთებზე, ქედებზე,
 დაადგებიან ფარად,
 მამულის გზებზე მამულს ეძებენ,
 სხვა გზა არა აქვთ, არა!
 სადღაც სიკვდილი ჩასანგრებია,
 დაბრუნდებიან გვიან
 და ისევ წინა რიგში დგებიან;

ჯარისკაცი და ტყვია.
 თეთრი ღრუბლები მოეხვევიან,
 ვით მოწყალების დები,
 ხეებიც გვერდით დაუდგებიან,
 ეშველებიან მთები.
 დგანან იმედის მტკიცე ჯებირად,
 რომ კარი გვექონდეს ღია,
 და სამშობლოსთვის იხარჯებიან
 ჯარისკაცი და ტყვია.

დაბრუნდებიან ჯარისკაცები

*ერაყში წასულ ქართველ ბიჭებს: ვასო დუჩიძეს
 ბესო ყავრიშვილს და სხვებს.*

როცა ბრძოლებით დაიღლებიან გზააზნეული გზები,
 ჩამოასვენე უძილო ღამეს, დამძიმებული მხრები.
 აედევნები ფიქრთა ბილიკებს, და გავიწყდება დაღლა,
 ფრთხილად, ეშმაკი შენზე მარტოა, არ აიხედო მაღლა,
 ერთი ტკივილი არ გიამდება, აჩრდილზე ახლოს გდევდა,
 არ ეძინება და შენზე ფიქრობს, მოხუცებული დედა.
 ნეტა ბოჩოლა ხომ არ გაეზნა, ახლოა მუქი ღამე,
 სად მიხვალ ქარო, შე ნიავემკვდარო, მიდი, უთხარი რამე,
 ვინ ანუგეშოს პატარა ქალი, ცრემლის ყელსაბამს ისხამს,
 ეჭიდავება მკაცრი დუმილი _ სუსტი იმედის მისხალს.
 ჯარისკაცები გვიბრუნდებოდნენ ობელისკების ჯარად,
 ერთი ყოფილა დედის წუხილი გუშინ, ხვალე და მარად.
 როცა ბრძოლებით დაიქანცება იმპერიათა ხროვა,
 დაბრუნდებიან ჯარისკაცები და შენი შვილიც მოვა!

2005

შუალამის სანაპირო

გსურს ოცნება დააპირო,
 სიყვარული დააპურო,
 შუალამის სანაპირო,

შუადამის სანაპირო.
 მთვარე ხეებს აუკვდავებს,
 მთვარე ხეებს ადგამს ნათელს,
 აქანავენს ქარი ნავენს,
 ქარი ნავენს აქანავენს.
 სიწყნარეში, სილურჯეში,
 მოგყვებიან ხეივნები,
 გეკრიჭება ოჯალეში,
 სადღაც გიცდის პალმა ვნებით.
 მიმოდიან, მოგელიან,
 აღმავლები, დაღმავლები,
 მოღელილ მკერდს გაგიშლიან,
 მოალერსე ზღვის ტალღები.
 დარდი აღარ დააპირო,
 გული აღარ აატირო,
 შუადამის სანაპირო,
 შუადამის სანაპირო.

2006

ლექსებნასვამი ჩემი სულია

სტრიქონებს შერჩა სულის ნაფლეთი...
 ვიგონებ ახალ სათამაშოებს...
 უნდა დავწყევლო პოეტის ბედი,
 ბედი, რომელიც შენგან მაშორებს.
 ბარბაცებს სული ლექსებნასვამი,
 კვირტებს ვახელდი მიჯნური მზისთვის,
 სიყვარულისთვის ძელზე გამსვამენ,
 თვალებს დამთხრიან სილამაზისთვის.
 მე უნდა შენი ღიმილი მკლავდეს
 მიცან ვინა ვარ, ნუში?! მერცხალი?!
 მოასწარ თორემ გამოწვდილ მკლავებს
 შმაგი წვიმები ჩამორეცხავენ.
 ნუ გეშინია, კარი გაუღე,

ქარი ჩემსავით თავგასულია...
და გაზაფხულზე ყვავილთა ბუდი,
ლექსებნასვამი ჩემი სულია.
2006

და არა ქალი

ქარი გაცმევდა დახეულ ნისლებს
და ვარსკვლავების მწიფე აღმასებს,
შენ გაზაფხული თან დაგყვებოდა
და თვალებს სჭრიდი თვით სილამაზეს.
ქუხილის ხმაზე იწყებდნენ ბოდვას,
ღრუბლები ღვრიდნენ ცრემლის ალაზნებს,
შენ გაზაფხული თან დაგყვებოდა
და გაღვიძებდა ზამთრით ნანაზებს.
ვით სიყვარულის ჩუმი გამხელა
გეკვირტებოდა მკერდი ჩამშრალი,
შენ დედამიწა გერქვა სახელად
და არა ქალი!

2006

ადარც მოსულა

ჩაიარა და წავიდა ისე,
ვერც კი გაიგო, რომ თავს მერჩია,
რადგანაც შუბლი გამოდარებას,
გული სიხარულს გადაეჩვია.
მეგონა ჩემ ლექსს გადაიწერდა...
იგალობა და იმარტოსულა...
და გაზაფხული მას მერე ჩემთან
ადარც მოსულა.

2006

ინგუშეთი

ინგუშ მილიციელს 1993წ.

სადაც წაველ ყველგან დამხვდი,
 ვარდო, ცისფერთოლიანო,
 ინგუშეთო შემიყვარდი,
 ფერად-ფერად მოლიანო.
 “გრუზინ”-გეტყვი, გიხარია;
 გურჯი ძმები მოდიანო,
 გმადლობთ, კაცი შემახვედრე
 აღმა-დაღმა ბოდიალო.

ნაზრანი

ვედრება

მოურჩენელ მწუხარებას მისევს,
 მარადმწვანე, მარად საოცნებო,
 გადახაზეთ, როგორც გინდათ ისე,
 აფხაზეთი არ მომიკლათ ძმებო.
 მტრად მოსულიც ეფერება მიწას;
 არას გავნებ, შენი ბედი მერგო...
 ლექსიც გახმეს, გულიც გადაიწვას,
 საქართველო გამიხარე, ღმერთო!

არ უწერია

ქართული კაბა ჩემ თაობას არ დაშვენდება?!
 დედის მანდილი საქართველოს თავფურცელია.
 არ უწერია იმ ქვეყანას გადაშენება,
 სად ქალი ქალობს, კაცს ლაჩრობა არ უწერია.

2006

რა ყრია ლექსში?!

პოეტმა ქვაზე სიკეთედ დადო,
 ვინ იცის _ გულის სისხლით ნაღები...
 ლექსში რა ყრია _ ეგ არ იდარდო,
 იფიქრე, შენ ხარ რისი წამღები?!

ვერ დავიჯერებ
დიკი რიმნისთაველის ხსოვნას

ვიცი, სიკვდილი ვერ დაგამარცხებს,
ვერ მომატყუებ იგავ-არაკით,
ვერ დამაჯერებ, რომ ლექსი დაცხრეს
ამოფრენილი გულის ქარაფით.
სად გეჩქარება, საით მიდიხარ?!
დაუბეჭდავი გრჩება წიგნები,
“ზაბუ” შენ ჩემთვის ისე დიდი ხარ,
ვიცი, ტკივილზე მეტი იქნები.
ვიცი, გაშრება წუხილით ცრემლი,
ვერაფერს გეტყვი იმ ცრემლის გარდა,
რადგან ვიცანი მე შენი სული
და შენი ლექსი ისე მიყვარდა!
როგორც გვიყვარდა გაზაფხულება,
როგორც მართალი სიტყვა იცოდი,
ლექსი რომ თვალებს გიფახულებდა
და სიყვარულის ცეცხლით იწვოდი.
იმ დიდ სიყვარულს ვინც ვერ გაიგებს,
მოკვდავია და შესაბრალია,
ჩვენც საფლავებად მი-მოგვარიგებს
ბედის მწერალი _ გარდუვალია.
და გაიტაცებს სულს დაუგეშავს
ბნელი სიკვდილის თეთრი ეშვები...
ეს ორი წიგნი დამრჩა ნუგეშად
და სიკვდილამდე ვერ მოვეშვები.
სხვა რა ყოფილა მარადიული,
ლექსი აქა და ლექსები იქაც...
და შენს მაგიერ ცივი დუმილი
მოგვიჭახუნებს ცარიელ ჭიქას.
ამეკვიატა შენი სტრიქონი,
ვიცი მატირებს ბრბოში, ეულად,
და ბნედიანი ქორონიკონი

ინკვიზიციის ცეცხლად ქცეულა.
 სიცოცხლეს იტევს მცირე მანძილი
 ორ თარიღს შუა ჩასმული ტირე...
 მეტი რა გითხრა, შენი სიკვდილი
 შენივე ლექსით გამოვიტირე,
 მაგრამ ოხერი ვერ დაგამარცხებს,
 ნუ მომიყვები იგავ-არაკებს,
 ვერ დავიჯერებ, რომ ლექსი დაცხრეს,
 დაჯახებული გულის ქარაფებს.

25 ნოემბერი

2006

სადღაც კვდებოდა პატარა ბავშვი

გზაზე დატოვილ მადლს ველარ წაშლი,
 ცოდვიანები თუმც ქვებს უშენენ...
 სადღაც კვდებოდა პატარა ბავშვი,
 კვდებოდა ბავშვი და ვერ ვუშველე.
 ქარსაც ჰქონია რაღაც სხვაგვარი
 ნავთსაყუდელი, დედის უბეში,
 სადღაც ტიროდა მოხუცი ქალი,
 ტიროდა ქალი – ვერ ვანუგეშე.
 დათრგუნო, რად გსურს ადამიანო,
 დაუურველი, სული უგეში,
 მოკლა სოკრატე, მოკლა ჯორდანო,
 მოკლა აზრი და მოკლა ნუგეში.
 რამდენჯერ მძიმე ჯვარი აღმართეს,
 ფერი უცვლიათ ძველმან თარიღებს...
 ვერ დააჯერებ მოკვდავთ სიმართლეს
 ”სამშობლოს სანდლით ვერსად წაიღებ”.
 ამოიოხრებს, ვით გუდასტვირი,
 სიცოცხლე-ლექსით გადაბასრული,
 მსოფლიო სევდა ჩემს სულში ტირის
 და თვალებიდან ამომდის სული.

ბრუნავს და ბრუნავს მზე ფერმიხდილი,
 საავდრო ღრუბელშენაფეთები,
 თვითმკვლელობაა ყველა სიკვდილი,
 როს დაიღლები და დანებდები.
 მე ჩავუჯექი ხელმწიფეს ნავში,
 ძველ სიბრძნეს რატომ არ დავუჯერე?!
 სადღაც კვდებოდა პატარა ბავშვი,
 კვდებოდა ბავშვი და ვერ ვუშველე.

1998 2007.

მეუღლეს

ვიბორიალეთ ზღვაზე, მიწაზე, ცაში,
 და სიჭაბუკე დაუნანებლად ვხარჯეთ,
 და თუ უღელში მიღალატებდი, მაშინ
 თავს მოვიკლავდი პაპისეულა ხანჯლით.
 ბევრი ტკივილი რძიანასავით ვღეჭე,
 ამოვიცოხნი, ქარებსაც არას ვუმხელ,
 არ დაგაყოვნებ, არ დავუწვები ეჭვებს,
 არ გადაგიხრი მარცხენა მხრიდან უღელს.
 სიცოცხლე მიდის, ბოლო არ უჩანს სახნავს,
 უღელს მივათრევ, შემშველებელი არ ჩანს...
 წიქარას ბიჭო, ერის ჯავრი მკლავს ახლა,
 ნუ დააჟანგებ პაპისეულა ხანჯალს!
 ჯეჯილი ღელავს, როგორც იმედი ხვალის,
 დე, გაზაფხული სიყვარულივით ენთოს,
 კვალს ვერ გაიტანს დაცალეებული ხარი,
 უღლის გამწევი არ დამიღალო ღმერთო!

2006

ჯარისკაცი მწვერვალები

მზად არიან მეხის პირველ შემახილზე!
 გაზაფხულის აბორგება ეძალემა,

რიალებენ კავკასიის მთაგრეხილზე
 მწვერვალები, მწვერვალები, მწვერვალები.
 ზეცის თაღზე ცისარტყელა გადმოდგება,
 ესევიან ყორნისფერი მზვერავები,
 დარაჯობენ საქართველოს მყუდროებას,
 შეჯავშნული ჯარისკაცი მწვერვალები.

სხვაობა

“მწუხარე forte, ნელი piano.”

გალაკტიონი

რიტმულად არხევ ტიტველა ტალღებს,
 ზღვაო მუსიკის ჰანგებიანო...
 სული ოდესმე ხომ უნდა გალღვეს,
 შფოთავს ფორტე თუ ტირის პიანო.
 უნდა დაიწვა ივლისის ღამეს,
 ფერთა ჰანგები აახმიანო,
 სულს ჩამოიხრჩობს, თავს გაიწამებს,
 ვედრებასავით ჩუმი პიანო.
 დაიგუგუნებს ტყეებზე მეხი,
 შეეჯახება მთვარე ქარტეხილს...
 დაჭრილი ჩიტი დაეცა კორდზე...
 და დასასრული _ მრისხანე ფორტე!
 ცას მიწა და დღეს ღამე აკოცებს,
 როდემდე უნდა დაიგვიანო!
 მოდი და ბედი ნუ გაგაოცებს,
 შენ ფორტე იყო და მე პიანო?!

2006

დამეწიე აბა!

ცრუს და მართალს წვიმის მირონს აცხებ,
 თქვი ღრუბელო, მე რად გამირბოდი?!
 სიძულვილში?! _ ვერ ვეჩვევი მარცხებს,
 სიყვარულში გამეჯიბრე მოდი!

სად წავიდა გოგო, ხომ არ იცით,
 სოკოსავით წითელ-ყვითელ კაბა,
 გადაგასწარ ოცდაათი მზის წლით,
 სიჭაბუკევე, დამეწიე აბა!

2006

ლადო ასათიანს

შენი სტრიქონით უგონოდ მთვრალი
 სად მიბარბაცებს ეს ასწლეული?!
 ბასრია, როგორც ერეკლეს ხმალი,
 ლექსი, ვადაში გადამტვრეული.
 მიწამ ყვავილით აივსო კალთა,
 ისევ გაფრენილ ფაფარზე ვდარდობ...
 შენ მიმიყვანე სიკვდილის კართან
 და სიცოცხლეზე მამლერე ლადო.
 ამომაცილე არყოფნის ფერდობს
 და გამინათე ბაცი სამყარო,
 მითხარი სიტყვა ვით შემოგბედო,
 ქართული ენის მთავარსარდალო?!
 მაშ უმწიფარი ლექსი ვის ვანდო?
 საით გავექცე ამ მთებს და ველებს,
 ან ამ სიყვარულს რა ვუყო ლადო,
 რა ვუყო ტკივილს, რომ არ მასვენებს?!
 ყაყაჩოებმა გადიხსნეს გული,
 მზე ყივჩაღივით შემოგვესია,
 ალაკრული და აბორგებული
 თვით გაზაფხული შენი ლექსია.

2007

რეკენ ზარები პეტრე-პავლეს ეკლესიაში

ამოდიოდნენ აჩრდილები მოგონებიდან,
 იძენძებოდნენ მზენასხურებ დილის ნიავში,

სიცოცხლის ძალა ზღაპარით დროს მიჰყვებოდა,
 რეკდნენ ზარები პეტრე-პავლეს ეკლესიაში.
 ემალებოდა გაზაფხულებს შემქნარი შუბლი
 და მიეღულათ მზეზე ნუშებს ნუკრის თვალები,
 ფუტკრის ზუზუნი მაგონებდა ზარს ჭირისუფლის,
 გაწამებული ყვავილობის გარდაცვალებით.
 გამოიგლოვეთ სიყვარულის დაღლილი ფრთები,
 ვინ არის ბოლო მოხუცებულ სულთა სიაში?!
 სმენას იტაცებს იდუმალი ქარების კრება,
 რეკენ ზარები პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

2007

მთვრალეები მოდით

ვინ მაპატიოს სიყვარულის ომში დაჭრილი,
 თუ ანტეროსმა მიმიყვანა შეშლილ არესთან...
 დედამიწაზე თუ ერთ გულსაც აღარ დავჭირდი...
 მთვრალეები მოდით ჩემ წიგნთან და ჩემ სამარესთან.
 როს გაზაფხული მთა-გორებზე შეიკუნტრუმებს
 და გამორბიან ენძელები თავ-ფეხშიშველი,
 გამსკდარი გული ძარღვში სითბოს აღარ გაუშვებს,
 ღვინო დალიე, მარტო ლექსით მე რას გიშველი?!
 დალიე ღვინო, დაივიწყე ყველა ჭრილობა,
 შემოახიე წუთისოფელს ერთი საღამო,
 თუ გადაგარჩენს _ გაბედული ფრთაგამლილობა,
 ამ დაუნდობელ სამყაროზე სულით მაღალო.
 ელტვოდა ვინმე, მარტოსული, მარად ბოჰემურს,
 ხორცი კვდებოდა, სული უკვდავ სტრიქონთა ლესდა,
 ფხიზელი კაცი ვერ გაუგებს სულამბოხებულს,
 მთვრალეები მოდით ჩემ წიგნთან და ჩემ სამარესთან.

2007

მიბრძანდით ქალბატონო ანა?!

ანა კალანდაძის დაკრძალვაზე

მთაწმინდამდე დაეღლება მუხლი,
 აიტაცებს ქარი ხელში განა?!
 საქართველო ნაწამებ თავს უხრის,
 _ მიბრძანდებით ქალბატონო ანა?!
 ვინ აზიდოს დათენთილი მხრებით,
 ქალი? _ არა სამყაროა დიდი...
 შორიახლოს ცრემლის ტბორზე ვდგებით
 და მოზარე მტკვარი დინჯად მიდის.
 ღმერთს ეოცა გულგრილობის ცოდვა,
 _ ბედაური მიათვითო _ ბრძანა...
 ჩაიწიეთ საფლავებო ცოტა,
 ჩააწვინეთ ქალბატონი ანა.
 ქარიშხალმა შეიცვალა გეზი,
 დაისვენე ხეო, ალვისტანა,
 დააობლა მოლაღადე ლექსი,
 მიბრძანდება დედოფალი ანა.

გამომიცანი

შ.კ-ს

შემაცვდა წლები და სილამაზე,
 მერე ბავშვობამ ამიყოლია,
 მე ვეჭვიანობ სუყველა ქალზე,
 მე ყველა ქალი მტერი მგონია.
 დავიკარგები შორეულ გზებზე,
 ქვეყნად რამდენი ბილიკებია!
 მე ვეჭვიანობ ქარზე და მზეზე
 ასე ურცხვად რომ გეფერებიან.
 ვისი თვალების ეშხით ღონდები,
 ნეტა ვინა გყავს დასაფიცარი?!
 სხვა სიცოცხლეში დაგელოდები,
 მოდი, მნახე და გამომიცანი.

წამოგეწევი

შუბლმოყინული მთებიც აღვაგზნე, სუსხით პირველი,
 შემხვდა რამდენი გულგრილობა, გასაკვირველი.
 მარტოობაში რა იპოვე? ვერ დაგეხსნები,
 საით წამიხვალ, დაგეწევი, მომგვარეთ ცხენი!
 მოგეფერება გაზაფხული, ისე, გულს გარეთ,
 წამოგეწევი, სადაც არ მელი, ცხენი მომგვარეთ.
 რა შუაშია ჩემისთანა უმწეო ქალი,
 თვით სიყვარული წამოგეწევა, გზები შევკარით!
 ვერსად წამიხვალ, საალერსოდ გული გახსენი,
 ცხენები ჩქარა, გაიგონეთ, მომგვარეთ ცხენი!

შ.კ-ს

სიჭაბუკე დილასავით
 იწყებოდეს თავიდან!
 თუნდა ისევ მაწამებდე,
 თუნდა მკლავდე ავიტან.
 განა მეფეს? ბედისწერას
 გადავუხტი ნავიდან...
 ერთმა ბიჭმა ჩემი გული
 წაიღო და წავიდა.